

# პ რ ი ლ ი

№5 (200)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

გაიხსნა  
ფასი 1.50 ლარი

1134  
2004



#5  
2004

# არილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური  
ასოციაცია "არილის" გაერთიანება

The Literary Magazine ARLI

არილი - დასავლეთელი სიწმინდე(ნი)  
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი  
ძაბოული პეტი  
განმარტავთი ღმერთი

მთავარი რედაქტორი  
შადიმან შამანაძე

სარედაქციო სბჭმო

მალხაზ ხარბედია  
(მთრედაქტორის მოადგილე)

ლევან აბაშიძე  
რატი ამალობელი  
ია ანთაძე

ირმა არჩუაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე  
ნოდარ ებრაღიძე

თამაზ ვასაძე  
ეთერ ვიბლიანი  
ზაზა თვარაძე

ზურაბ კვიციანი  
ვახტანგ კომპანიძე  
ვასილ მაღლაფერიძე

ზვიად რატიანი  
ირაკლი სამსონაძე  
გულსუნდა სიხარულიძე

სოზარ სუბელიანი  
ზაზა ფაჩუაშვილი  
ზაზა ჭილაძე

ბესო ხვედელიძე

მენაჯერი - ნანა ჩხვიმიანი  
მოვარციული ღირებულება -  
გიორგი სუბარი

მოვითარებული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე

ელისო კალმახელიძე  
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00

e-mail: kharbedia@yahoo.com

მისამართი: ლესელიძის ძ. №4

ფურნალი იბეჭდება გაზეთ  
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



## განსივდეს აუხაჭეთი!

№5, მაისი, 2004

### ლიბერალური

ზურაბ ლევაია  
მსტოვარი და მზვიარაპი .....1

ანა კორძია-სამადაშვილი  
მი, მარბარიტა .....7

დათო ქარდავა  
ართხელ ნითელ არმიპი .....18

დათო ქარდავა  
დაკარბული სიმაღლე .....21

ბესო ხვედელიძე  
მსტაფიტა .....23

რატი ამალობელი  
ლეძსაპი .....28

ირმა მალაღიძე  
ბაბა .....30

ქეთი ორჯონიკიძე  
თუთიყუპი .....40

ქეთი ორჯონიკიძე  
ოსკარი .....44

ლუკა ბაქანიძე  
ლეძსაპი .....46

ჯულიან ბარნსი  
ბვიდან ბადახვიპა აპრბაღულია .....48

პარუკი მურაკაპი  
ყინულის კაპი .....54

ნატალი საროტი  
ართი უოსთვის ან ართი არასთვის .....58

# მსტოვარი და მზვერაპი

რცხილა ძალიან მაგარი ხეა - გაცილებით მაგარი, ვიდრე მაგალითად მუხა. მისგან შალაშინის კალაპოტებს და სპორტულ ინვენტარს ამაზადებენ, მზადდება მისგან აგრეთვე ცულისა და ჩაქუჩის ტარები, სხვადასხვა ინსტრუმენტი. ძველი გამოცდილი ხელისნემა რცხილას ჭრიან, აცლიან ქერქს და ქერქაცვლილს პირდაპირ ღია ცის ქვეშ ტოვებენ, რათა ამ მორმა იგრძნოს სიცხე, სიცივე, ნივბა, მზე და ქარი. მორი იწყებს სკდომას, იგრისხება, იბრიცება და ასეა სამ წელიწადს. მხოლოდ ამის შემდეგ აპობენ ამ მორს ნასკდომებზე და რაც მთელი გადარჩება, სწორედ იქიდან ამაზადებენ საშვილიშვილო შალაშინის კალაპოტებს, ხელსაწყო-იარაღების ტარებს თუ სხვა საჭირო საგნებს.

ჩვენი ჯვრებს ვაკეთებთ რცხილისას. ჩვენი მასალა, ძველი ხელოსნების ღია ცის ქვეშ გამოშრალი მასალიდან განსხვავებით, ჩვეულებრივ, ხე-ტყის გამოსაშრობ საშრობშია გამოშრალი, მაგრამ სიმაგრით, ვგონებ, არ ჩამოუვარდება მას. თუ თქვენ საშობლებს მოგეცემით ხელში აიღეთ გაშვანშვალებული, ოთხი-ოთხზე, მეტრაოციანი რცხილის ლარტყა, მაშინვე იგრძნობთ მის სიმძიმესთან ერთად, სიმკვრივეს და ერთგვარ სიცივეს თითებით - რცხილა ძვალავით, ლითონით მაგარია და ცივი. ამ ლარტყაზე მეორე, ორმოცდაათსანტიმეტრიანი ასეთივე სისქის ლარტყა მაგრდება სჭვლებით და გვაბრძოც მზადაა - ლაქის ნასხალა უნდა. სჭვლებით დამაგრება გამართლებულად მიმანია, რადგან ლურსმნებით დამაგრებული ჯვარი ადვილად ტყდება. მე თვითონ გადაამატვირვის ჩემიანებმა თავზე რამდენჯერმე ასეთი ჯვარი. პრინციპში, ეს არაფერი, რადგან მე თავი, რომ იტყვიან, კვახივით მაგარი მაქვს. თუმცა, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებ. ჯვრების თავზე გადაამტვირვის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

მამა ოლიმპი მოძღვარია ჩვენი. ის "განდგომილ-განკვეთილია" ძირითადი ეკლესიიდან. ეს სიტყვა "განდგომილ-განკვეთილი" მე თვითონ მოვიგონე. ასე იმითომ მოვისსენებ ჩემს მოძღვარს, რომ ობიექტური მონდა ვიყო. სიმაართლე ყოველთვის უნდა ითქვას:

მამა ოლიმპი თავის დროზე ერთი ჩვეულებრივი მღვდელი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი დაუპირისპირდა ძირითადი ეკლესიის ხელმძღვანელობას იმ მიზეზით, რომ მას არ მოსწონდა ამ ხელმძღვანელობის მიერ წარმოებული "პოლიტიკა" და ეკლესიის შიგნით მიმდინარე კარგად დაფარული, მაგრამ, უთუოდ მაინც არსებული, მანიკური მოვლენები. მამა ოლიმპი სხამალა ამხელდა ყველას და რადგან ის ერთობ ემოციური ადამიანია, ზოგჯერ ყვირილითა და გინებით, ხანდახან კი მუშუქტირავით. ამ ერთდროით ცდლობდა იგი ეკლესიის შიგნით თავისთვის მისაღები წესრიგის დამყარებას. ამის გამო, ზულიგნური საქციელისა და შუასაუკუნეობრივი, "მრაკობესული" (როგორც ძირითადი ეკლესიის მესვეურები ამბობდნენ) შესხედლებების გამო იგი განკვეთილ იქნა დედა-ეკლესიისგან. და, - ნუ, - განდგომილც იქნა, რასაკვირველია, საკუთარი ნებით.

მე ვახსენე სიტყვა "ჩვე". ჩვენი მრევლი ვართ - მამა ოლიმპის მრევლი ანუ ის ხალხი, რომლებსაც მამა ოლიმპისა გვეჯერა, რასაკვირველია, გვენამს ჩვენი ძირითადი დედა-ეკლესიისა, მაგრამ მიგვაჩინია, რომ მისმა ზოგიერთმა მესვეურმა ქვეშარიტგზას ცოტათი გადაუხვია - ცოტათი კი არადა კარგა გვაირინადაც გადაუხვია, მაგრამ ამის შესახებაც სხვა დროს.


ჩვენითვის მიუღებელია მათი შემირიგებლური დამოკიდებულება ახლადმომრავლებული სექტების მიმართ. ჩვენი ვებრძვით სექტებს - ვცემთ სექტანტებს, ვანადგურებთ მათ ქონებას და ვწავთ მათ ნივნებს. ისინი არა, მათ მიანიათ, რომ სექტანტებთან ბრძოლა უნდა იყოს მშვიდობიანი, თუმცა აბა სად გინახავთ ბრძოლა და მშვიდობიანი.

ისე, ერთხელ, სხვათა შორის, მე ენციკლოპედიაში ჩავისმდე უბრალოდ დამაინტერესა ამ სიტყვის ქვეშარიტმა მნიშვნელობამ და თურმე

7092



საქართველოს  
პარლამენტის  
მდივნის  
გამგზავნილი



ნუ იტყვი: სექტა ყოფილა ძირითადი, გაბატონებული (ასე ეწერა) ეკლესიიდან გამოყოფილი რელიგიური ჯგუფი, რომელიც არ ემორჩილება საერთო წესებს, ანუ წესით ჩვენც სექტა გამოვდივართ, მაგრამ ეს, რომ იტყვიან, ენციკლოპედიურად. ისე კი ამის შესახებ ჯობია მრევლთან არაფერი დამცდეს, თორემ ამგვარი გამონათქვამი თუ მამა ოლიმპის ყურამდის მივიდა, მან შეიძლება ეპითიმიამ დაამადოს. ასე რომ, ამაზე ანუ იმაზე, რომ ჩვენ სექტა ვართ, მე ვცდილობ - არაბთუ არ ვილაპარაკო, არც კი ვიფიქრო, რადგან ამგვარმა ფიქრებმა ადამიანი შეიძლება სულის ნარწყმედამდეც მიიყვანოს. ისე კი თუ მაინც სექტა ვართ, მაშინ სექტებიც ყოფილა ცუდი და კარგი. ადამიანებიც ხომ არიან ცუდები და კარგები. ჰოდა, ალბათ, სექტებიც ასეა. ისე რომ, იელოველები ცუდი სექტაა, ჩვენ კი - ჩვენ, შემინდე უფალო და, თუ მაინცდამაინც სექტა ვართ, მაშასადამე უსათუოდ კარგი, რადგან ჩვენი სარწმუნოება ერთადერთი ქრისტიანობის მთელს ქვეყანაზე, ასე რომ, რაც გინდა დაგვარქვან, მაინც ჩვენი სარწმუნოება იქნება უსწორესი.

ისე, გიხსრათ სიმართლე, დიდი ბრძენთაბრძენი მე არა ვარ, ერთი უბრალო ახალგაზრდა კაცი ვარ და თავიც კვახივით მაგარი მიქვს (უკაცრავად, რომ ასე მოვიხსენიებ საკუთარ თავს, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მივივარს ეს გამონათქვამი, რადგანაც იგი განსაკუთრებით ზუსტად ასახავს, ჩემი თავის, როგორც ორგანოს სიმაგრეს, ასევე ჩემს სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას), მაგრამ ზოგჯერ მაინც მიჩნდება თავში ალბათ მკრეხელური აზრი - თუ რატომ არის ჩვენი, მაინცდამაინც ჩვენი სარწმუნოება ერთადერთი ქრისტიანობის ქვეყანაზე და რატომ

სხვათა სარწმუნოებები არ არის ასეთი. ისე, ბათასეც არ უნდა მეთქვა, მაგრამ რადგან ვთქვი, ბარემ იმასაც ვიტყვი, თუ როდის და რატომ მომდის ამგვარი აზრები თავში: ამგვარი აზრები, შემინდე უფალო და, ჩვენებს რომ ვუყურებ მაშინ მომდის. ჩვენ, მამა ოლიმპის მიმდევრები, ანუ ოლიმპიელები (ჩვენ ზოგჯერ ასეც მოვიხსენიებენ) ყველანი ერთმანეთს ჩამოვგვართ: საშუალო სიმაღლის და სხვადასხვა სისქე-სიმჭლევის წვეროსანი მამაკაცები ძირითადად ჯვარნაქარგი სხესურული ქუდებითა ვართ თავდაბურულნი. ბევრ ჩვენგანს კეხიანი ცხვირი და ბრაზიანი გამოსხედა აქვს. მამაკაცები ძველი ქართული წესის თანახმად, მისალმებისას მხარზე ვკოცნით ერთმანეთს, რაც ზოგჯერ პატარა არეულობას იწვევს ხოლმე, რადგან ის, ვისაც მხარზე უნდა აკოცო, როცა ხედავს, რომ შენ მხარზე აკოცე, ლოყაზე კოცნის შემდეგ მხარზე საკოცნელად იწვევს. შენც, შენი მხრივ ცდილობ ვალში არ დარჩე და კოცნი ლოყაზე, რადგან მან ლოყაზეც გაკოცა და მხარზეც, შენ კი მხოლოდ მხარზე, საბოლოო ვაშში კი გამოიღოს, რომ (თუ ნასვამებიც ბრძანდებით) თქვენ ერთმანეთს მხრებს და ლოყებს უკოცნი, სინამდვილეში კი ლოშნით ერთმანეთს და თავებს ურტყამთ. ეს კი შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ვილაცას სხესურული ქუდი არ დაუვარდება. ისე, აქაც სხვამ იკითხოს თორემ მე ჩემი ქუდი ყოველთვის მაგრად მიქვს ჩამოფხატული, ხოლო თავი, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, კვახივით მაგარი მიქვს. საერთოდ კი კაცები მხოლოდ ხელის ჩამორთმევით უნდა გამოყოფილდებოდნენ და არ კოცნიდნენ ერთმანეთს არც მხარზე და არც პირისასეზე - ეს, ჩემი აზრით, ცუდი ჩვევაა.

მამა ოლიმპის დათინებულ მოთხოვნით ჩვენ ვალდებული ვართ ვეცადოთ ვილაპარაკოთ სუფთა, თავანკარა ქართულით, თავანკარა ქართული კი, მისი აზრით, მხოლოდ ძველი ქართულია. რა თქმა უნდა, მთლად ძველ ქართულზე მეტყველება ჩვენ არ ძალგვიძის, მაგრამ ისე კი ჩვენი ენა ცოტათი არქაულად უღერს. ზოგი ამას კარგად ახერხებს, ზოგი საერთოდ ვერ ახერხებს, ზოგს კი ცოტა სასაცილოდ გამოსდის. აი, მაგალითად, როგორ ესაუბრა, ჩემი თანდასწრებით, მალაზიაში გამყიდველს ჩვენი მრევლის წევრი და ჩემი სულიერი ძმა გალელი ზური სულუხია:

ზური სულუხია: მაიონზენ ესე ხომ არ არს ძველი, მაგალითად?

გამყიდველი ქალი: არა ბატონო, როგორ გეკადრებთ! ზედ აწერია თარიღი, სუ ახალი მიღებული გეაქვს!

ზური სულუხია: მაგენი რაცხას დაანერენ ზეთ, ქე ვუნყი მე, მაგალითად!

გამყიდველი ქალი: ახალი ბატონო ნამდვილად! ზური სულუხია: არა მამცთურთ დიდიცო, რამე თუ ბალანეზა მინდა - მე მაიონზენ ესე!

გამყიდველი ქალი: ვისთვის გინებათ?

ზური სულუხია: ბალანეზა-თქვა, ბალანეზა - ვა-ა, ყრმითინა, ყრმითინა!

რაც შეეხება ჩვენს ქალებს, ისინი სათნონი არიან და რწმენის საკითხებში შეუვალნი, მაგრამ სამ-

წუხაროდ, მათ შორის, ჭარბობენ ჭარბთმინანები. მე, როგორც მამაკაცს, შეიძლება არც შემეფერებოდეს ადამიანებისა და მით უმეტეს, ქალების, - ნაკლი დავარქვათ, არასრულყოფილება თუ ფიზიოლოგიური თავისებურებები - ამაზე საუბარი. თითქოს არც ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, სიძარბო უნდა ითქვას ყოველთვის. ეს კი, ანუ ის, რომ ჩვენი ქალთა შორის ჭარბთმინანები და შეუხედავები ჭარბობენ, ფაქტია - თავიანთი უღვაშებით, ქიღავაშებით, ბუნები ყურებსა და ცხვირში, ცხვირზეც. როგორც ჩანს, ეს ერთ-ერთ მხრივ, განპირობებულია იმით, რომ მრევლში ასაკოვანი ქალებია ახალგაზრდებზე გაცილებით მეტი, მეორე მხრივ კი იმით, რომ ჩვენი ქალები არ იცვებიან ეპილეპსიას და ახლოს არ ეკარებიან კოსმეტიკურ საშუალებებს. მამა ოლიმპი უკრძალავს მათ ამას. ის თვლის, რომ ადამიანი უნდა იყოს ისეთი, როგორც ის უღვაშა შექმნა და არა ტუშითა და პომადით შეთიხნილი. ჩვენი მრევლის ქალებიც მიჰყვებიან მამა ოლიმპის მცნებას, არ ცდილობენ თავიანთი გარეგნობის შეცვლას და არიან ისეთები, როგორცდგება ისინი უღვაშა შექმნა. მე, როგორც მთხრობელს, მაქვს უფლება, რაღაცა გამოვტოვო, რაღაცაზე კი შევწინააღმდეგო გავამახვილო ყურადღება. მაგრამ როდესაც ახასიათებ ადამიანებს, უნდა ილაპარაკო არა იმაზე, თუ რითი გვახსნან ისინი სხვებს, არამედ იმაზე, რითაც ისინი სხვებისაგან განსხვავდებიან. თუ ამ უნდა არ დავიკარო, შენი ნაამბობი გამოვა ზერელედ, ხოლო შენ მიერ დახატული სახეები უფერული და უიერონი იქნებიან. მაშინ რაღა აზრი აქვს თხორობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალთა გარკვეული ნაწილი ისეთივე ჭარბთმინანია, როგორც ჩვენი მრევლისანები. უბრალოდ, სხვა ქალები, ჩვენიისაგან განსხვავებით, სხვადასხვა საშუალებებით იცდილებენ არასასურველ თმას, ჩვენები კი არა. სამაგიეროდ სხვებს პირისახე ლამაზი აქვთ, მაგრამ ბევრს საინოება არ გააჩნიათ, ჩვენებს კი საინოებაც აქვთ და ქიღავაშებიც. მე კი უკვე, ახლა როგორც ყოველთვის, ვაჭარბებ - ეს უკვე ქირქილია, ცინიკური ქირქილი. ზოგჯერ არის, რომ ვიტყვი ან გავაკეთებ რამეს და მერე მძაგს ჩემი თავი. ახლაც ასეა - მე ჩემი თავი მძაგს.

რაც შეეხება კიდევ ჩვენს ქალებს, რა თქმა უნდა, საკმე ასეც არ არის და მათ შორისაც არიან ლამაზმანები, ზოგიერთები კი - ახალგაზრდები განსაკუთრებით - ნამდვილი ცუტარელები. ამას მე ვამბობ სრული გულწრფელობით და არა იმიტომ, ჩვენ ქალებზე ზემოთ თქმული, ცოტა მოუზომავი გამოჩინებები შევარბილო. არც უნდა მეთქვა, ალბათ, ეს ყველაფერი, მაგრამ ვთქვი და რა ვქნა. ნათქვამი სიტყვას უკან ვეღარ დავაბრუნებ. ერთს დავამატებ მხოლოდ: რაკიღა ოლიმპიელ ქალებზე მიგდა საკმე და მათზე ნაივად ლამაზაკი ერთხელ და საშუადაოდ რომ მოვამთავრო ეს თემა, ვიტყვი, რომ, როცა ჩვენ ოლიმპიელი მამაკაცივთ ვარბებთ და ვცენით იელოველებს, ჩვენი ქალებიც ჰტილობა გავლობენ, ხოლო ხელსაყრელი მომენტის შერჩევას ჩქმეტენ და ბრწყინებ დაზარალებულებს. მოვრი იმით მე ოლიმპიელ ქალებზე საუბარი, დავასრულე. და-

ვასრულე, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი, სიმართლე ითქვას, არ გამოირჩევიან დიდი გონიერებით და არანაირ მნიშვნელოვან როლს მრევლის ცხოვრებაში არ თამაშობენ.

ასეც უნდა იყოს - ქალი ქალია.

მე გიგი ლამაზოშვილი ვარ - ორხველი უცოლო, უშუშეგარი. მრევლში ცოტა რთული და თავისებური მოვალეობა მაქვს: იელოველთა სექტაში შეგზავნილი მამა ოლიმპის მსტოვარი ვარ.

ეს საკმე ასე მოხდა. ერთხელ მამა ოლიმპიმ თანესთან სენავლი მოხმო და დილაკანი ბიკენტის თანდასწრებით შემომთავაზა "უფლისათვის სამარგებლო" საქმის გაცეობა. მე, რა თქმა უნდა, სისარულით დავთანხმე და ვუთხარი, რომ "უფლისათვის სამარგებლო" საქმის გასაკეთებლად მუდამ მზადაა გიგი ლამაზოშვილი. მაშინ მამა ოლიმპიმ საიდუმლოდ გაანადო, რომ მას თურმე სექტანთა სტრუქტურებში შეგზავნილი ყოლია თავიი მსტოვარი, ანუ ემისრები, რომლებიც მამა ოლიმპის აწვდიდნენ, შეუღებისდაგვარად, დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ რა ხდებოდა სექტანთა შიგნით. საიდან ვინანადებოდნენ, რა რიტუალებს ატარებდნენ, როგორ გადაადგილდებოდნენ, როგორ "რწყმადნენ" ქართველთა სულებს და რას გვემადგენენ მიმავლისთვის. ერთ-ერთი ასეთი მსტოვარი იელოველთა სექტაში უნდა გავმხადარიყავი მე. უნდა მოვანთოლოყავი, ჯანდაბა მაგათ, იელოველურად, რაც შეიძლება მეტად უნდა შევსოლოყავი მათ ხელმძღვანელობასთან ნოლიაში და მამა ოლიმპისათვის ან დილაკანი ბიკენტისათვის მეცნობებინა ყოველივე საინტერესო, რასაც მე იქ იმ შეჩვენებულების ბუნებაში ვნახავდი ან ყურს მოვკრავდი.

დავთანხმდი.

იელოველთა პირველი შტოვარა, რომელსაც დაეცნარი - კონფერენცია - როგორც ისინი ამ ღონისძიებას უწოდებენ, ერთ პატარა ნაქირავებ ბინაში ჩატარდა. მათ იქ ერთი რაღაც დაწვრილები მაგნიტოფონი ედგათ, რომელსაც წამდაუნუნ ხან ჩართავდნენ, ხან გამორთავდნენ გალობების დროს. დამამასსოვრდა, რომ ერთმანეთს უსვამდნენ სხვადასხვა შეკითხვებს და, რასაკვირვებო, შესაბამის პასუხებსაც სცემდნენ. შეკითხვები ძირითადად იმას შეეხებოდა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე იელოველი ამ თუ იმ შემთხვევაში. ნუ დაახლოებით ასე: შეკითხვა: "ვისთან უნდა იმეგობროს იელოველი?" პასუხი: "ღიას, იელოველმა უნდა იმეგობროს მხოლოდ იელოველებთან". შეკითხვა: "ვისზე შეიძლება იქორწინოს იელოველმა?" პასუხი: "ღიას, იელოველმა უნდა იქორწინოს მხოლოდ იელოველზე". სცდიდნენ ისინი ერთმანეთს ბიბლიის ცოდნაშიც: შეკითხვა: "რა ერქვა ნოეს უფროს ვაჟს?" დიას: "ნოეს უფროს ვაჟს ერქვა სემი". "რა ერქვა ისააკის ცოლს?" "ღიას, ისააკის ცოლს ერქვა რეეკა". მოპასუხები პასუხობდნენ დალაგებულად, მშვიდად, თუმცა თავის სათქმელს ყოველთვის რატომღაც იწყებდნენ სიტყვით "ღიას". ეს იყო და ეს. კონფერენცია რომ დამთავრდა, მაშინვე არ დაიშალნენ. ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად, ხუთ-ხუთნი გამოდიოდნენ ბინიდან და ჩუმად იბარე-

ბოდნენ. დაახლოებით ასეთივე იყო სხვა, შემდგომი კონფერენციებიც.

გარდა კონფერენციებისა, იელოველები ატარებენ აგრეთვე თეატრალურ წარმოდგენებს, სადაც ისინი აცოცხლებენ ბიბლიურ სცენებს - ნუ, ერთი სიტყვით, თავისებური თეატრი აქვთ. ამგვარ სპექტაკლებში მეც მიმიღია მონაწილეობა და ამის შესახებაც გაიამბობთ. მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ იელოველთა წესდება ძალიან გაეცა... თუმცა რა აზრი აქვს ახლა მაგათ წესდებაზე ლაპარაკს. ჯობია,

ისევ სპექტაკლებზე მოვყვე. არ ვიცი, რა სამსახირო ნიჭი აღმოაჩინა ჩემში იელოველთა უზუცესმა, მაგრამ ერთხელ გვერდზე გამისმო და მითხრა: "შენ ბიბლიურ სპექტაკლში უნდა ითამაშოო", უზუცესი თვითონ დაახლოებით ორმოცამდე წლის კაცია, მართლა უზუცესი კი არ არის, ისინი, ანუ წინამძღოლები იელოველთა, ასე მოისხენებიან, - "მეფე დავითი უნდა განასახიეროო". მეც რა მენადვლებოდა - დავთანხმდი. ვირსავიას ირმა თამაშობდა. ამ პატარა სპექტაკლში ყველაზე მეტად ის ადგილი

MARCH 15, 2002

# THE WATCHTOWER

ANNOUNCING JEHOVAH'S KINGDOM

## Good Leadership Where Can We Find It?

Also:  
Black Company-  
A history of wife-swapping

მომეწონა, როცა მეფე დავითს ანუ მე, ვირსავია - ირმა უნდა ამეყვანა ხელში და მომეტაცა. რეპუტიციაზე, სწორედ ამ სცენის გათამაშის ვაკეთებდი ყველაფერს შეგნებულად ისე, რომ უსუცესს არ მოსწონებდა ჩემი თამაში და ხელმეორედ გაეთამაშებინა სცენა. მეც ერთი შეიდეგურ მოვიტაცე ირმა: ავიყვანიდი და დავარბენინებდი ოთახში წინ და უკან. ბოლოს მინც იძულებული გახვდი ისე მეთამაშა, როგორც იმ ძალიშვილ უსუცესს სურდა, თუშეცა ის ბოლო დუბლიც, დემორთმანი, კარგი იყო. მე ირმა ავიტაცე და ისე ჩავისუტეე, როგორც ალბათ, მამატიოს უფალმა და, თვით ნამდვილი დავით მეფე ვერ ჩაისუტებდა ნამდვილ ვირსავიას.

- "ბრაგო!" - შესძახა უსუცესმა და სისარულით ატორდა. მეორე დღეს სპექტაკლმა ანლაიტი ჩაიარა. ჩემი და ირმას თამაშით აღფრთოვანებული იელოველები ტიროდნენ. სპექტაკლის შემდეგ კი ტაშში გავანაყე და ყვაკილები გვესროლეს. ეს ყვაკილები მე სცენიდან ავკრიფე და ირმას მივუძღვეინი.

ირმა იელოველია. იელოველებში, ისევე როგორც ყველგან, ათასნაირია ხალხი და იქაც არიან ისეთები, რომლებსაც ან სწამთ ის, რის მოწამებობასაც იბრალებენ, ან არა. მაგრამ ამ უბედურს, ანუ ირმას მართლა გულწრფელად სწამს თავისი იელოვანობა.

მე კი იგი მომწონს, მომწონს კი არადა, შემიწინად უფალო და, ალბათ მიყვარს. ის ღამაზია, ჭკვიანი და განათლებული. თანაც წესიერი - იგი რალაც თანდაყოლილი წესიერებითაა წესიერი - კდე-მამოსილია. სწორედ მაგის გულისთვის იყო, ჩვენებმა რომ თავზე გადაამატკრიეს ორი თუ სამი ჯვარი.

როცა განსაკუთრებით ხალხმრავალი კონფერენციები იმართება, ჩვენები არბევენ იელოველებს და, რომ იტყვიან, "თავს ბანს ანგრევენ" მათ. მე ასეთ დროს, ვჭვი რომ არ აღიღო, სექტანტების რიგებში ვარ და ვცდილობ თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს აქტიური იელოველი ვიყო. ჩვენებიც ამ "უსჯულოებთან" ერთად მეც მირტყამენ. იელოველებს ხომ კარგად მოესვენებათ, რომ ვილაღ-ვილაღები ჩუმ-ჩუმად აწვინდა მამა ოლიმპის ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ.

მაშინ იმ დღეს მეტად დიდმასშტაბიანი კონფერენცია ტარდებოდა, თანაც, ასე ვთქვათ, გასკლითი ქალაქიდან შორს, ერთ-ერთი "უსჯულის" კარგად მოწყობილ კარმიდამოში. იელოველები მთელი საქართველიდან და მეზობელი რესპუბლიკებიდანაც კი იყვნენ ჩამოსული: ტევა აღარ იყო დაკვირვებული ავტობუსებისა, კერძო ავტომანქანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მე ირმას შორიბალოს ვტრიალებდები და ვცდილობდი, რომ ამდენ ხალხში არსად აღმეპარვოდა. მისი გაფრთხილება არ შემიძლო - ეს ხომ ჩვენების ღალატი იქნებოდა, არადა, ბედი-სანაბრად მიტოვებს, აბა, როგორ შეიძლებოდა. ჩვენებმა მაშინ იელოველებს დღე აყარეს, ო-ხო-ხო-ხო, "მკედარსაც კი გაეცინება". შვიდი ავტობუსით ჩამოვიდნენ, "უსჯულოები" ალყაში მოაქციეს, "ჰკა მაგასაო" დასძახეს და იელოველებს დაერივნენ ხის

ჯვრებით შეიარაღებულნი: კაცები იელოველებს სცემდნენ, რელიგიურ ექსტაზში მყოფი უღვაშიანი ქალები კი ამ დროს ტპალიად გალობდნენ. ომერაციას ხელმძღვანელობდა მამა ოლიმპი, მას ცალ ხელში რადიოარუბორი ეჭირა, მეორეში კი ანთებული სასაქმველე, რომელსაც იქნევდა, რათა სასქმველის სუნს გაეფრცველებინა, ხოლო რადიოარუბორით იძლეოდა განკარგულებებს და ძალიან უცნაურ სიტყვებით ლანდავდა იელოველებს. ჩვენი დანარჩენი კაცებიც გააფრთხილებინა აგინებდნენ იალოველებს და სცემდნენ მათ ჯვრებით. იქვე მყოფი პოლიციელები ზარმაცად აშველებდნენ მოჩუბრებს და თითქოს შარებიც დაშორი ვთქვათ ცდილობდნენ, მაგრამ მოდით, სიმართლე ვთქვით და, ისინი პირიქით, ხელს უწყობდნენ ჩვენიანებს იელოველების ცემაში. და თუ რომელიმე იელოველი უშნოდა, მაგრამ მინც, წინააღმდეგობის განწევს სცდიდა, მას მაშინვე ზურგს უკან ხელებს მოუფრისებდნენ, მერე კი, რომ იტყვიან, "რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

იხე, რაც მართალია, მართალია და ძალიან კარგი საცემია იელოველი, მე შენ გეტყვი, ხელს შემოგობრუნებს თუ რა. მათ ხომ მათი რწმენით ჯარში სამსახურიც კი ეკრძალებათ. ესე იგი, გამოდის, რომ შეიარაღებული მტერიც რომ მიადგეთ კარს, მინც არ გაუწევენ წინააღმდეგობას, ისე მოკვლენივინებინა, მათ შეიძლება მხოლოდ ხელი აიფარონ ან გაიქცენ. ჰოდა, ურტყი, რამდენიც გინდა, ამოწყდა მაგათი სხენებო.

ორმეტრიანი დიაკვანი ბიკენტი ყოფილი რაგბისტია. ამბობენ, რომ მისგან მხოლოდო კლასის რაგბისტები დადგებოდა, რომ არა მისი თანდაყოლილი მიდრეკილება ხულიგნობისკენ. მოგესხნებათ, რაგბი ფეგურული სრიალი არ არის და არც შაში და ჭადრაკია. რაგბი ძალისმიერი, ხისტი თამაშია და ხშირია, როცა რაგბის თამაშის დროს მთითამაშეები ერთმანეთს გაუღალუნ-გამოუღალუნებენ. რაგბში ეს როგორღაც მოდის, მაგრამ ჩვენი დიაკვანი რაგბის თამაშის დროს ნამეტნეს შერებოდა. ეს მისი მიზეზით ხდებოდა მოედანზე შესლა-შემოსლა და ჩხუბები. ის სულ ვილაღს უღალუნებდა. მას მუდამ სჯდინდენ მსაჯელებ და მწკრთნელები, იგი თითქმის სულ სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ბოლოს, საერთოდაც დაითხოვეს დიდი სპორტიანი. ამის შემდეგ მივიდა იგი ვულსიანი, რომ იტყვიან, ინამა ღმერთი, გახდა ჯერ სტიქაროსანი, მერე მორჩილი და ბოლოს, დიაკვანი - დიაკვანი ბიკენტი, რომელიც შიშის ზარს სცემდა იელოველებს. ბიკენტის უკვე სცნობდნენ იელოველები და ძრნოდნენ მისი დანახვისას, განსაკუთრებით ისინი, რომელთა თავპირზეც მის მიმე მუშტებს ოდესმე გაევიდნენ ბათქანი.

იმ დღეს ლომს გავდა ბიკენტი. იგი ხის მიმე ჯვრით შეიარაღებული გზას მიიკვლევდა იელოველებს შორის, "ვითარცა უხორცო" და როგორც მთიბავი ბაბაას, ისე თიბავდა მათ. შემწინდელი იელოველები გაქცევას ლამობდნენ, მაგრამ ამ ორომტრიალში მათ ძირითადად მათივე თანამომძებნი უღობავდნენ გზას. ჩვენები ქალების

ცემას ურიდებოდნენ და ალბათ ამიტომ იელიოველი ქალები თავის მხრივ გახს უღობავადნენ ჩვენებს, წინ ეწიხრებოდნენ მათ, რათა ამ გზით მაინც ეშველათ თავიანთი კაცებისთვის.

განსაკუთრებით აქტიურებიც ამ მხრივ ირმაც: იგი კაპოტა, ნიოდა და ზედ ეფორებოდა თავის დამპალ კაც იელიოველებს. მე გვერდიდან არ ვცილდებოდი მას და ამიტომაც იყო, რომ სხვისთვის განკუთვნილი დარტყმები სულ მე მხედვებოდა. რაღა ამქნა: ხელებს უჭირვედი და გაჭოტივთ ვჭყვიტივნივდი. აბა, ჩვენებს ხომ არ დავაბრტყამდი. ბოლოს მოხდა ისე, როგორც ბრძოლის ველზე ყოველთვის ხდება: ღირსეული მონინაბლდევები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ - ირმა ბიკენტის წინ ვადაუდგა. ბიკენტი მას მრისხანედ გადამოხვდა და რამდენჯერმე ხელისკვრივთ თავიდან მოიცილა ქალი, მაგრამ ირმა არ მოუშვა. ამასობაში ბიკენტი ირმას ზურგს უკან ერთი კარგი, მსუქანი იელიოველი დაინახა - ნითური და ლაბიანი. კი, მართლა კარგი საცემეი რასაც შვეია, ისეთი. ბიკენტი ირმას ხელი კრა და მსუქანას ჯვარი მოუქნია. მსუქანას გული წაუყვდა და ნაიქცა, ირმა სხივის სისწრაფით მას ზედ გადაეფორა და ბიკენტის მოქნეული ჯვარი ბეჭდები მოხვდა. კიდევ კარგი, რომ ბიკენტი მოასწრო და ბოლო მომენტში დარტყმა შეანელა.

ბიკენტი, მართალია, ჩემი ხისსილა და ხორცია და ყველა იელიოველი, ირმას გარდა, დედაც ვატირე, ალალი გულით, მაგრამ ეს ამბავი რომ დაეინახე, რაღაც დამემართა: ნაბით განსჯის უნარი დავკარგე, თითქოს დენმა დამარტყაო, შეპანიკურად დავიძარგე, გასული მტყუნები ოდნავ წინ გადავარჩინე, მუხლებში მოვიხარე, შეხვტი და დიაკვან ბიკენტის მთელი გულითა და სულით თავური ვაჯახე და ორი სარტყევი კბილიც ჩამოვუღე. ბიკენტი დარჩენილი კბილები გააბრტყილა და ხის მძიმე ჯვარი თავზე გადაამუშუნა. კი მეტკინა, მაგრამ ეც არაფერია - მე, მოგესხენებათ, თავი კვახივით მაგარი მაქვს.

ამის გამო მამა ოლიმპი მამდლიანი ეპითეშია დაბადა, მაგრამ, ნუ, რას ვიზამ ახლა, ხან ისეა, ხან ასეა, მე როგორღაც თავი ვიპართლე და ამით ეს ამბავი დამთავრდა.

ყველაზე ურწევულო ამბავს კი ახლა გიამბობთ და მეზე თქვენ თვითონ განსაკუთრ.

ამას წინათ ჩვენს ეკლესიაში შევედი და თვალბებს არ დაუფუჯერე ვხვდავ, ჩვენს ეკლესიაში ირმა მოსულა, თავმალი შემოიხვევია და წინმად ხატებს სანივთს უთნებს და ცლილობს მრევლის ქალებს გამოვლამარაკოს. უტბად ვიფიქრე, "შოდი, თვალსანიურიდან მოვერდები და ვუთვალთვალე მეთქი", ის იყო, სვეტს უნდა თვალფარებოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი და ჩვენი ამავედრი ერთმანეთს შეხვდა. შევატყვე, როგორ შეცბა - შეცბა კი არაა, ელდა ეცა. რაღას ვიზამდი - მივედი და მივესალმე. თან გულში იმედის ნაპერწკალი მიღვიოდა, იქნებ-მეთქი გამოსწორდა ადამიანი და ჭქმშარტ სარწმუნოებას მოუბრუნდა, მაგრამ ეს ასე არ იყო. ირმა ჩემს დანახვაზე შეცბა, ცოტა ხანს რაღაცაზე

მელაპარაკა, მერე დრო იხელთა და ფრთხილად დატრევა ტაპარი. შემდეგ თანდათან ნაბიჯს უმატა და თითქმის სირბილით გაიქცა ეკლესიის ეზოდან. მე დავდევენე და კარგა შორს, ავტობუსის განჩრებესთან დავეშვი. ვკითხე: "ირმა, შენ ეკლესიაში რა გიღოდა-მეთქი". მან თავი დახარა, თვალი აშარდა და კითხვითვე მიპასუხა: "შენ თვითონ რა გინდოდაო". მე ვუთხარი: "პირველი მე დაგისვი შეკითხვა და ამიტომ, ვაქრ-მეთქი, შენ გამეცი პასუხი". "მე პასუხი მზად მაქვსო, - მითხრა - მაგრამ არაფერს გეტყვი, სანამ შენ არ მეტყვი, შენ თვითონ რატომ იყავი იქო". რაღას ვიზამდი, ავდექი და გაუხსენი კარტები - სულ ერთია, მაინც ვეღარ დაფრთხავდი ჩემს საიდუმლოს. "მე აქ-მეთქი, იმიტომ ვიყავი, რომ ეს ჩემი ეკლესიაა, მე მართლმადიდებელი ვარ და აქ ვლოცულობ, თქვენს კონფერენციებზე კი მამა ოლიმპის დავალებით დავდივარ, რათა მისთვის საინტერესო ინფორმაცია მივიწოდო. ახლა შენ მითხარი-მეთქი". ეს რომ გაიგონა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც კი შემეპუა, წარბები შევიკრა და მიპასუხა: "მეც მაგ მიზნით მოვედი თქვენთანო, უხუცესმა გამომზახანა და მითხრა: წადი და მამა ოლიმპის მრევლში გაერიე, რასაც საინტერესოს გაიკებ, მაშინვე შემატყობინეო". გული დამწყდა, ეს რომ მოვისმინე. "შენ ჯაშუში ხარ-მეთქი" - ვუთხარი. "შენ ვინა ხარო" - ამ კითხვამ კი აღმაშფოთა. "მე ჯაშუში კი არა, მსგავსი ვარ-მეთქი და ცივაც იმას, რაც მამა-პაპას ჩვენამდე მოუტანია-მეთქი!" - "მერე მოგ-წონსო ის, რაც იმით ჩვენამდე მოუტანიათო, მოგ-წონსო დღევანდელი ჩვენი ცხოვრებაო" - მე ვუთხარი: "დღევანდელი ცხოვრება შეიძლება არც მომ-წონს-მეთქი" - "ჰოდა, ჩვენ ეს ცხოვრება გვინდა შეეცვალოთო". მე ვუთხარი: "თქვენ ამ ცხოვრებას უკეთესობისკენ ვერ შეცვლით და უარესობისკენ ნაცივანო-მეთქი საქმეს. ვნახოთო", "კარგი-მეთქი, ვნახოთ, აი, ახლა კი ჩვენ-ჩვენი ამავეი გავარკვიო-მეთქი, მე იმას ვივაც, რაც ნაცადია და რაც საუკუნეების მანძილზე იყო, შენ კი ცივაც იმას, რაც ვერ კიდევ დასადგენი და სანახავია. მე უკვე გითხარი, რომ ჯაშუში კი არა, მსგავსი ვარ და შენ ვინა ხარ-მეთქი, შენ" - ის დამოდა: "აბა, შენც გამონახე-მეთქი შენთვის შესაფერისი სიტყვა, ჯაშუშის გარდა. აი, ხომ ხედავ სიტყვას- ვერ პოულობ, მაშასადამე, ჯაშუში ხარ-მეთქი" - მივხადე მისი დუმილით გათამამებულმა. მან პასუხად მწარე სილა მტკიცა ლოყაში, ატირდა და გაიქცა. მე წამით შეეყოვნედი. გული დამეწვა. დავდევე, მზრებნი ხელი წავავლე, ჩემსვე სახით მოვაბრუნე და ვუთხარი: "ირმა, შენ ჯაშუში კი არა, მზვერავი ხარ-მეთქი - პატარა მზვერავი - პატარა და გაბედული". მერე ჩემსვე მივიზიდე და გულში ჩავიკარი.

ის დამყვა.



ანა კორკია-სამაღაველი

მე,

მარბარიტა

ერთი ხეობაა, ძალიან ლამაზი, სადაც ალბათ ყველა ქართველია ნამყოფი. უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში თურმე სულ ხელიდან ხელში გადადიოდა: ხან სულთანმა დაითრია, ხან - სპარსებმა, მერე ისევ თურქებმა. მერე პასკევიჩმა ახალციხის საფაშო დაიპყრო და ხეობა რუსეთის საკუთრება გახდა - ქართველმა თავადებმა სასწრაფოდ გაყიდეს.

სწორედ რუსების დროს გადააწყდა ვიღაც სულმნათი მინერალურ წყლებს. რამდენიმე წლის შემდეგ ქართველ გრენადერთა პოლკმა უსიერ ტყეში წყაროებისკენ მიმავალი გზები გაკაფა და ორგვლივ კოსტა შენობები წამოჭიმა, და სულ მალე ხეობა მხიარულ და ხალხმრავალ ადგილად იქცა.

1871 წელს იქაურობა დიდი მთავრის, მიხაილ ნიკოლაევიჩისთვის უბოძებიათ, და რაც არ უნდა სასაცილოდ უღერდეს, სწორედ მას ვუმადლი წინაპრების ვინაობას. ჩემს ირგვლივ ყველამ ის მაინც იცის, ბაბუამისის მამას რა ერქვა, მე კი არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი გაჩენისთვის დიდმა მთავარმა, მიხაილ ნიკოლაევიჩმა იზრუნა - თავისდაუნებურად, რასაკვირველია. რადგან ის რომ არა, მიხაილ-გაგრილა ნამდვილად არასოდეს გახდებოდა

მინერალური წყლების ჩამომხმელი, არც ფუმფულა ტანცია ჩავიდოდა იქ კვერების გასაყიდად, და ერთმანეთსაც ვერაფერს გააგებინებდნენ - რამე საერთო ენა ხომ უნდა ჰქონოდათ...

1.  
მიუხედავად იმისა, რომ დიდი მთავრის იმ მხარეში გამოჩენის შემდეგ ლამის ორმოცი წელი იყო გასული, ხეობაში მისი ამბავი არ დავიწყნიათ: სასახლე ხომ თავისთავად დარჩა, ლელეს "კნიაზის წყალი" ერქვა, ორ კაცს - ველიკიკნიაზი, ერთ პატარა გოგოს კი - ტანცია, არა ცეკვა-თამაშის ამბავში, არამედ დიდი მთავრის ჩამობრძანების პატივსაცემად სადგურზე წარწერილი "სტანციას" გამო.

ტანცია ბატონებს თავიანთ სახლში გაუზრდიათ, რატომ - უცნობია, ალბათ ან ობოლი



იყო, ან დედა ჰყავდა მოახლე. მთავარია, რომ გაზარდეს, და ამიტომ წერა-კითხვაც შეეძლო და ცოტა, მაგრამ იმ სოფლის კვალობაზე დიდებული რუსულიც იცოდა. გარდა ამისა, ტანციას ბატონებმა თავიანთი გვარი უბოძეს, და როცა გათხოვდა, მზითვიც გაატანეს, რაც იმხანად უკვე სამარცხვინოდ გაღატაკებული აზნაურებისგან ალბათ დიდი ხელგაშლილობის ნიშნად უნდა ჩავთვალოთ.

ტანცია ლამაზი იყო, პატარა, თეთრი, დიდმკერდიანი და ღარიბი ქალისთვის უჩვეულოდ თავანუული. ყოველთვის ძალიან სუფთად ეცვა, და როცა მზე აცხუნებდა ხოლმე, სახეს თავსაფრით იფარავდა - რომ არ დამწვარიყო და სახის კანი არ გაჰფუჭებოდა.

სახლიც ასეთივე ჰქონდა, კოხტა და შაურიანივით გაპრიალებული. ძალიან ამაყობდა თავის სახლ-კარითა და განსაკუთრებით "ჩატახტულით": ზედ ფარდაგიც კი ეფინა, ქალბატონ მარგარიტას მიერ საქორწინლოდ ნაშუქარი, კუთხეში ამოქარგული "1910 წლით". ტანცია სულ იმეორებდა, რომ ქალბატონმა ფარდაგი საგანგებოდ მისთვის ჩამოაქსოვინა, ერთი ისაა, რომ თარიღი იყო ცოტა დამაფიქრებელი: იმ წელს არც დაბადებულა, არც გათხოვილა, სამი-ოთხი წლისა იქნებოდა, და კაცმა არ იცის, ვისთვის იყო ეს ფარდაგი სინამდვილეში განკუთვნილი. მაგრამ მთავარია, რომ ამჯერად ის საკოლმეურნეო-სააგიტაციო პლაკატებთან ერთად პანანინა სახლს ამშვენებდა, სადაც იმ დროისთვის, როცა ეს ამბავი დაიწყო, ტანცია მარტოცა ცხოვრობდა - დაქვრივებული იყო, მაგრამ მაინც ძველებურად თავანუული და ფუმუფლა, ტყუილად კი არ

ამბობდნენ ხეობაში, ტანცია პადრეთი ქალია!

კაცს, რომლის ცოლიც ერთ დროს ტანცია ყოფილა, უჭირდა. განსაკუთრებით ღარიბი კი არ იყო, უბრალოდ, მისი მამაკაცობის შესახებ უშნოდ ჩურჩულებდნენ, და თან ქურდი ბრძანდებოდა. ქურდობდა, და სულ არ ადარდებდა, რას იპარავდა - მეზობლის ღობეზე ჩამოკონჩილებულ გოგრას თუ მუქ მწვანე ბოთლში ჩამოსხმულ მინერალურ წყალს. წყალი იმდენი მოდიოდა, სად წავლით, არ იცოდნენ, და საერთოდ, იმ მხარეში ბევრი არც არაფერი იყო მოსაპარი; მაგრამ ის მაინც ქურდობდა და მერე, ღამით, ცოდეა ადგებოდა ხოლმე: ჩამოვდებოდა თავის "ჩატახტულზე", გააღვიძებდა სანყალ ტანციას და მოთქმა-გოდებით იწყებდა მონანიებას. ცხადია, ხატი არ ჰქონია, და ცოლის მიერ სასწრაფოდ დანთებული ჭრაქის მოპარპალე შუქზე პლაკატებს შეგლადადებდა - ფხადგმულ გოგრებს, ფართოტერფიან გლეხის ქალებს და წარწერას *годовщина шефства РКСМ над флотом*, ოღონდ რა ეწერა, არ იცოდა, და ტანციასთვისაც რთული ტექსტი იყო.

მეორე დღეს კაცი ისევ ქურდობდა; ხან იჭერდნენ და სცემდნენ, ხან - ვერა, მაგრამ მოთქმით კი მაინც მოთქამდა. ერთ დღესაც, როცა სხვის ნალიაში დაიჭირეს, როგორც ჩანს, მეტისმეტად იცემა, და გამთენიისას კნიაზის წყალთან იპოვნეს. მკვდარი. ცემით მკვდარი ნამდვილად არ იყო, რა მოხდა სინამდვილეში, არავინ იცის, მკვდარი კი იყო, და მუხებთანაც დამარხეს, იქ, სადაც გასაბჭოებამდე ცისფერი და ოქროსფერგუმბათიანი, ხის ელესია მდგარა, მარგალიტა ბატონი ამბობდა, ჩემი



ანგლოზის სახელობისაო, მაგრამ ევ კაცმა არ იცის.

ასე დაქვრივდა ტანცია, და დარჩა მარტო. ცოტა ნაიგლოვა - წესის ასეთი, და მერე ძველებურად განდგროვ ცხოვრება.

\* \* \*

საერთოდ, ტანციას არასოდეს უღელვია. არც რევოლუცია უგრძეწნია დიდად, არც "გერმანსკი" და არც მეორე მსოფლიო ომი. ამ წლების განმავლობაში მის ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ბატონები ქალაქში გადავიდნენ და მერე სადღაც გაქვრინენ, მხოლოდ ქალბატონი მარგარიტა, ანუ, როგორც ტანცია უწოდებდა, მარგალიტა ბატონი ჩამოდიოდა ხოლმე ზაფხულში. სოფელშიც ცოტა მამაკაცი იყო დარჩენილი, მაგრამ ტანცია ამაზე არასოდეს დაფიქრებულა. მას არც ქალაქი აინტერესებდა და არც კაცები. მისი სამყარო ერთი ციციქნა იყო, მხოლოდ ერთი სივითი შემოიფარგლებოდა, მაგრამ მისთვის სასებით საკვარისი გახლდათ.

მერე კი, როცა მეორე ომიც დამთავრდა, წყლებზე კვლავ დამსვენებლები ჩამოვიდნენ, და მათთან ერთად ხეობაში უცნობი სახეებიც და ახალი საქმეც გამოჩნდა, ანუ მამაკაცებმა წყლის ჩამოსხმა დაიწყეს, ქალებმა კი - ათასგავარი წვერილმანის გაყიდვა და გაცელა. ტანციამაც საქმეს მიხედა: დღევანდელი მოშვებით მარგალიტა ბატონისეულ კალათაში ნაწინავით მოხვეულ კარგოფილიან კვრებს აწყობდა, ზედ დაქარგულ ხელსახოცს აფარებდა, კალათის ხელს უყრიდა და წყლებსკენ მიცუცულებოდა, იმდენად თავის სარჩენად არა, რამდენადაც ხალხში გასარეგდა. საღამოს რომ გეკითხათ, წყლებზე რა ხდებოდაო, ალბათ ვერაფერს გიპასუხებდათ, არ შესაძლებოდა. ისე დადიოდა, რა.

ჰოდა, ერთხელაც "ისა" წასულ ტანციას ამბავი შეემთხვა. კარგი იყო თუ ცუდი, ამას მერედა დაუფიქრებდა, იქ მხოლოდ იმას მიხვდა, რომ რაღაც ამბავი იყო: წყლებამდე არმისულს აღმართზე ფეხი დაუცდა და წაიქცა, სწორედ ისე, მისთანა ქალს რომ არ ეკადრებოდა - უშნოდ. არადა, ხალხი უყურებდა, სოფელელებიც და ვიღაც უცხოელებიც, და ამან ისე დანკვიტა გული, რომ მერედა შენიშნა, რა მარცხიც მოსვლიდა: კალათის სქელური მოსტეხოდა, ძირი გატყდომოდა და მისი ლამაზი კვრებებიც გაზაზე იყო მიმოფანტული.

ცხადია, მისცივიდნენ, ვიშვიშიც ატყავა. ტანცია მორცხვად იღიებოდა და დასვირლ ხელისგულებს მალავდა. ერთი ევ იყო, კვრებისა და კალათისთვის რა უნდა ექნა, ვეღარ მიხვდა და გადამკვიტიბა, ბატონის სახლში გაზრდილი ქალივით მოქცეულიყო, ანუ არ შეეჩინია. გაფუჭებულ ღვეზელებში გატეხილ კალათაში ჩაანყო და თუმცა ძალიანაც ენადნებოდა, გზის პირას ჩამოსაკუბა. მერე ხელსახოცი დაებრტყა, სასკლოში შემალა და შინისკენ დაიძრა, ისევ ისე, ცუნცულ-ცუნცულით, თუმცა თავს ცოტა უსერხულად გრძნობდა - კალათით უფრო მოხდენილად დადიოდა ხოლმე.

მოკლედ, მოხდა ამბავი, რომელიც ტანციას არ დაავინწყდა, სხვა თუ არაფერი, კალათა აღარ ჰქონდა და წყლებზეც ვეღარ წავიდა - აბა, უშნოდ ჩა-

ფართხუნებული კალთაპარკით ხომ არ წაიღვდა კვრებს! მაგრამ ეს მხოლოდ ამბის დასაწყისი იყო, რადგან ორი დღის შემდეგ მის ლოპესთან ძახილი გაისმა:

"ზაზაიოშუქა!"

მამაკაცი იყო უცხო! რუსი! ხოჭოსავით შავი თმით! ლურჯი-ლურჯი თვალებით! მის სკლში კალათა ეკავა, ოღონდ ისეთი კი არა, ადრე როგორსაც აკეთებდნენ, სულ სხვანაირი იყო, დანწული. კაცი ლობის უკან იდგა, მაგრამ ხელი აწეული ჰქონდა, და კალათას ტანციას აჩვენებდა.

ტანციაც გული გაუწერდა. სუნთქვა შეეკრა. აღარ იცოდა, რა ექნა. შეუბრტყა? არა, უცხო კაცის სახლში შეყვანა სად თქმულა! აბა, თვითონ მისუფიანა? ვაიმე მერე, ამდენი რუსული რომ ვერ გავეგო? იდგა ტანცია და პირზე ხელაფარებული უყურებდა.

კაცმაც უყურა, უყურა, მერე კალათა ლოპესთან დადა და წავიდა. ერთი-ორჯერ კი მოისხედა, მაგრამ ბოლოს მაინც წავიდა.

კალათაში რაღაცა ეწყო, ზედ თუთის ფოთლები ჰქონდა გადაფარებული. ტანციმ ჩაიციუტცა და ფოთოლი გადანია. შაქვლიაგი იყო.

ნეტა, ვინ იყო ის კაცი, ტანცია?

\* \* \*

ის კაცი რუსი იყო, და ოდესღაც სულ სხვა მიწაზე, დიდი მდინარის პირას ცხოვრობდა. სამი დღისა რომ მოიყვანა, საყდარში წაიყვანეს და მონათლეს. იმ მხარეში ყველა ასე იქცეოდა, ბავშვს სასწრაფოდ ნათლადნენ ხოლმე, და რომც მომკვდარიყო, ღმერთი მიიღებდა, თორემ მოუწათლავის დაკრძალვა ვის გაუგია?! ცხადია, სასულიერ დაარქვეს - გავრიილი. ერთი ისაა, რომ ნათლიმამაც უწოდ იყო დამთვრალი და, როგორც ჩანს, ნათლედ-დააც არ აკულებდა, რადგან ბავშვის სახელი უმაღლვე დაავინწყდა და მთლად უნამუსოები რომ არ ყოფილიყვნენ, სახლში დაბრუნებულებმა მოშობლებს მოახსენეს, თქვენს ვაჟს მიხაილი ჰქვიაო.

ასე ცხოვრობდა ამქვეყნად მიხაილო, სანამ 30-იან წლებში მის გასახლებაზე არ მიდგა საქმე და საეკლესიო დათვარი არ გადმოქექეს და არ გაირკვა, რომ მიხაილი კი არა, გავრიილი ყოფილა.

იმ დროისთვის მიხაილ-გავრიილს გრძელი ცხოვრება ჰქონდა გავლილი და წესით, აღარაფერი უნდა გააკვირვებოდა. მაგრამ მოხდა საოცარი რამე: მიხაილო კინაღამ გაგიჟდა. სულ წვერი იგლიჯა, ძლივს დააშოშმინეს. ღუთის წინაშე, მიხაილო საერთოდ წაუფსიქოპატივდა, მაგრამ მთლად ასეთ რეაქციას არავინ ელოდა. თითქოს რაა, რო? მაგრამ მაინც.

ისე, იმ დროისთვის, როცა თავის სახელის ამბავი გაიგო, ჯერ ორმოცე არმიტანულ მიხაილის მართლა დიდ ცხოვრება ჰქონდა ნაცხოვრები. სხვა თუ არაფერი, პირველი მსოფლიო ომში იყო ნამყოფი, სულ ახალგაზრდა კაცი ფელდფებელი იყო, და ჯერ მეფის ოციერებს ემორჩილებოდა, მერე - დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრებს, მერე - ბოლშევიკ კომისრებს, მოკლედ, ჯარისკაცი იყო, თან გმირი. მართლა. ერთი მედალი

სიმახვილთვის და ოთხეუ ხარისხის, ოქროსა და ვერცხლის წმინდა გიორგის ჯვრები - პატარა საქვერცხლს მიიღო ეს ჯილდოები, უცნობია, არასოდეს არავისთვის უთქვამს, ერთის გარდა: სულ ჯოჯო, პირველი ხარისხის "გიორგი" თურმე დანარჩენი ჯილდოების პოვნისთვის მიანიჭეს.

ამ ომის დროს მიხაილო მზვერავი ყოფილა, და ერთ-ერთი დავალების შემდეგ მინარში დაბრუნებულს აღმოუჩენია, რომ გზად ჯილდოები დაპატივგოდა. უსიამოვნოა, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, როგორც მოგახსენებ, მიხაილოს მოულოდნელ რამეზე უფრო ახასიათებდა "გაჭედვა". ამ შემთხვევაშიც ასე მიხდა: დაალო თვე და იმდენი ქნა, რომ მტრის ზურგში შეორედ გასულმა მაინც იპოვნა თავის ჯვრები. ჰოდა, ამისთვის მეოთხე ჯვარიც მიანიჭეს. ომის შემდეგ თურმე გაიღამავება სმოლენსკთან ყველაფერი წაართვის - ჯილდოების გარდა. მიხაილო მათ ნამდვილად არავის დაუთმოზდა, უმაღლესს შეელოდა...

\* \* \*

იმ ღამეს ტანციას არ დაეძინა, და ღამით დაწყობილი დიდი გემების და სამაგალითოდ ლამაზი კვერების დაცხობის მიუხედავად, დილით კარგა ხანს იორჭოვა - წასულიყო თუ არა: თვალები ჰქონდა დასიებული. მაგრამ მერე მაინც წავიდა.

ნეტა დილით წასულიყო. ძალიან ცხელოდა, სულ გაოფლიანდა. ნეტა მამწინათვე არ შესვდეს, ზედა წყაროსთან ნაკლები ხალხია ხოლმე, იქნებ მოწეს-ნერგება მოასწროს...

წყლებთან მისვლისთანავე დაინახა გუმინდელი კაცი. კოპიტეთთან. ზურგიანი იჯდა, მგონი, ჭამდა. კიდევ კარგი, მარტოა, მაგრამ რამსიმძლე ყოფილა კი იჯდა, მაგრამ ხომ ეტყობოდა!

და უცებ ტანცია დაფრთხა. თავის გარეგნობაში ეჭვი არასდროს შეჰპარვია, ზუსტად იცოდა, რომ დადასარევი ქალი იყო, ვის არ მოეწონებოდა! ასე-ლა კი დაფრთხა. ვაიდა, ამას დანარჩენის! თავზე რომ დაადგება, სადა და დინახავს ტანციას! ამიტომ გადაწყვიტა, დრო უქვლია, სანამ იჯდა: მოუშარა და ვიდრე ის კაცი წამომართვას მოასწრებდა, ჩაიზუზლა და კვერებიანი კალათა წინ დაუდგა.

"მოგწონა?" ჰკითხა კაცმა.

"კი" მიუგო ტანციაში. "შენ გააკეთე?"

"კი," უთხრა კაცმა, და კიდევ რაღაცა უთხრა, ოღონდ ტანცია ვერაფერ გაიგო. შერცხვა, და ამიტომ კალათა მიუჩოჩა:

"ჭამე."

ასე გაიცნეს ერთმანეთი მიხაილომ და ტანციაში. ჯერ დღეგამოშვებით, ვითომდა, შემთხვევით, წყლებზე სხედებოდნენ ხოლმე: მიხაილო იქ წყალს ასხამდა, ტანციას კვერები აჰქონდა. მერე მიხაილო საჩუქრებს სწუჭებდა, სისულელეებს - ბალახზე აცმულ კენკრას, ხის კოვზებს; ტანცია კი ხაჭაპურსზე გადავიდა, გასაყიდად კი არ მიჰქონდა, მიხაილოსთვის ირეგებოდა. ძალიან უნდოდა, რომ მიხაილო ისევ მასთან ჩასულიყო სტუმრად, რომ თავის ლამაზი სახლი ეჩვენებინა და შეჭამანდიც მიერთმია, მაგრამ თქმა ერიდებოდა, თან ის გვიანობამდე მუ-

შობად და მერე თურმე სხვა უცხო კაცებთან ერთად ეძინა ხოლმე. მუშაობას უთენია იწყებდა - როდისღა მოასწრებდა?

მაგრამ მერე, შემოდგომამდე, მიხაილო მართლა მოვიდა, და ისევ საჩუქარი მოიტანა, პერანგში გახვეული: სოკო. ამ სოკოს სეობაში არავინ ჭამდა, მაგრამ ტანციას არ შეეშინდა. ჩამოჯდა თავის ჩატახტულზე და უყურებდა, როგორ აშზადებდა მიხაილო სოკოს, და მერე ერთად ჭამეს, და მერე მიხაილო დარჩა, და ასე გაჩნდა ტანციას სახლსა და ცხოვრებაში მამაკაცი.

სეობაში ალბათ ჭორაობდნენ - აბა, რას იზამდნენ! ჯერ ჭორაობდნენ, მერე შურდათ, მერე გაჩუმდნენ. ოღონდ ტანციას ეს არ აელეკებდა, ბედნიერი იყო. როცა აცივდა და დამსვენებლები წავიდნენ, აღადრე წყლებზე სიარული უწყებდა - სახლში ელოდა ხოლმე თავის კაცს. მიხაილო კი სვამდა, მაგრამ ზემოთ, კაცებთან, და ნსავში ტანციას არც ეჩვენებოდა ხოლმე. მართალია, ერთხელ დამთვრალს ვიღაცა ძალიან უყვამია და მასაც ძალიან სცემეს, და მაშინ მოვიდა, და ტანციას რატომაც ძალიან გაუხარდა, რომ მასთან მოვიდა. იმ ღამეს მიხაილომ თავის განძიც მასთან დატოვა - ჯვრები, და ტანციაში ისინი ბუხრის თავზე დაანყო.

"ჩემო ღამაშო," ეუბნებოდა ხოლმე მიხაილო და თავზე ხელს უყვამდა. ტანცია ხელზე კოცნიდა და გატრუნული ცვილობდა, მისი ნაამბობი გაეგო.

რაღაცეები გაიგო კიდევ: რომ ადრე, სულ ადრე, მიხაილოს ორი ცენი ჰყავდა, ტყვიასავით სწრაფები, და ძველი ტყვია და ახალი ტყვია ერქვათ, ოღონდ მერე კოლმურწრობამ წაართვა. ისიც გაიგო, რომ იქ, ძალიან შორს როცა ცხოვრობდა, და, ცხადია, ტანციას არ იცნობდა, ცოლი ჰყავდა და შვიდი შვილი, და ისინი გზაში დაიხოცნენ, სანამ ბანაკამდე მიალწევდნენ, და იმ ძალიან შორეულ და უსამილესს შეუღკასში მიხაილო მარტო ცხოვრობდა, არც ქალი მოუყოლია იქ და არც არაფერი, მაგრამ რახან წერა-კითხვა იცოდა, იქაურ კანტორაში მწერლად აიყვანეს. მიხაილო ყვებოდა და თავზე ხელს უყვამდა, ტანცია კი ვერაფერს ვეზობოდა. დიალოგი არ გამოსდიოდათ. მხოლოდ ერთხელ ჰქონიათ ის, რასაც საუბარი ჰქვია, როცა მიხაილომ თავის სახელის ამბავი გაუწერო.

"მიქელ-გაბრიელივითაა," გაიციხა ტანციაში.

"რატომ გეცინება? ეგ მთავარანგელოზები იყვნენ."

"არა, მიხაილო, ეგ სიკვდილია. აი, მე კი ნათლობის დროს ბატონის სახელი დამარქვეს, მარგალიტა. იცი, რა არის მარგალიტი?"

"მართლა მარგარიტა გქვია?"

"ჰო, რა იყო?"

"არაფერი. ჩემს სახლს ერქვა ასე: სტანცია მარგარიტა."

ერთ საღამოს კი მიხაილო არ მოვიდა. ალბათ დათვრა, იფიქრა ტანციაში. ღამით კი ძალიან ციოდა და შეეცოდა თავის კაცი, ვინ იცის, გარეთ დაეძინაო. მართალია, მიხაილოს ნათქვამი ჰქონდა, ისეთ ყინვაში მძინებია, რომ გადავაფურთხებდი, პაერში იყინებოდა ხოლმეო, მაგრამ ტანციაში იფიქ-

რა, რომ ხვალ აუცილებლად ეტყოდა მიხაილოს: რაც არ უნდა დათვრე, მინც მოდი, არა უშავს, თორემ უკვე ძალიან აცივდა, აქ ნადირიც იცის, და სხვათა არ გადაყვარო. ამ ფრანზას დიდხანს ალაგებდა, მერე, კარგად რომ მოიფიქრა, დაიძინა.

მაგრამ მიხაილო ვერც მეორე დღეს ნახა, და მესამე დღეს, წყლებზე ასულს, ამბავი დაახვედრეს, მიხაილოც და სხვა კაცებიც წაიყვანესო. სად? მხრები აიჩქნეს. ვინ იცის.

შედეგსაში ნამდვილად იქ წაიყვანდნენ ის ყველაზე საშინელი ადგილია ვაიმე, მიხაილო, და ჯვრები? ჯვრები რომ დაგრჩა?!

\* \* \*

ზაფხულში ხეობას, როგორც ყოველთვის, მარგალიტა ბატონი ეწვია. შობლიური კერის მიმართ სიყვარულთან ამ ვიზიტებს არაფერი ჰქონდა საერთო. უბრალოდ, ქალბატონის სოფელში უფრო იოლად გაჰქონდა თავი, თან მაინც პატივის სცემდნენ. იმას როგორ აღიარებდა მარგალიტა, რომ მას, თავადის ქალს, ქალაქში კომუნალურ ბინაში უწევდა ცხოვრება და ფრანგულის მასწავლებლობით ედგა სული, ზაფხულში კი, მოგვსენებათ, მასწავლებელი არავის სჭირდება.

ჰოდა, ქალბატონი ხეობაში ჩაბრძანდა. მარგალიტა თავის კლასისა და თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბრძანდებოდა: კუდაბზიკასა და ზედაპირულად განათლებულს მიაჩნდა, რომ ყველაფერი იცოდა და ყველაფერში ერკვეოდა, ცოტა მოერწმუნებ იყო და, რასაკვირველია, მუდამ ზნეობის სადარაჯოზე იდგა. გათხოვილი არასოდეს ყოფილა, არა სიმამიჯის ან სხვა მსგავსი უფარგისობის, არამედ გარემოებების გამო, და ცხადია, მამაკაცისა და ქალის ყოველგვარ ურთიერთობას ეჭვით უყურებდა. მას სძულდა კომუნისტები და გლეხები, ამბობდა, რომ ისინი "მჭადს ნახშირისგან ვერ არჩევენ", და როცა მისწულს "მდაბოებითან ჩაველო" - სკოლის მეგობრებზე საუბარი, - არ დაიზარა, რძალთან საპატიო მისითი მიბრძანდა და მკაცრად უთხრა: "ბავშვს მიხედ, ნინა!" ამ ფრანზით ქალბატონი რატომღაც ძალიან ამოყობდა და ხშირად ჰყვებოდა ხოლმე თავის გიმრიობის ამბავს.

ასეთი განწყობის მქონე კნენისა ხეობაში ამბავი დაახვედრეს, რომ მისი შობილების სახლში გაზრდილი ტანცია ვიღაც პატიმარი რუსისგან ორსულად იყო! მარგალიტა შემწრუნდა და დასატყუქად სახლში მიადგა უყოფებევრო და უშაღვრო ქალს.

რძლისთვის ნათქვამი სიტყვებისა არ იყოს, "უმადურ" ქალბატონის ძალიან ბორონდა და ტანციასთვის წაყენებული ძირითადი მოწონება სწორედ უმადურთა იყო. რატომ - კაცმა არ იცის.

მაგრამ მისი გულის გასახეთქად და საბოლოოდ აღსაშვობელად აღმოჩნდა, რომ ტანცია შესანიშნავად გრძობდა თავს, სულ არ რცხვენოდა და იმდენად გაკადნიერებულიყო, რომ გეგმებსაც კი აწყობდა, ანუ:

სანამ ბავშვი წამოიზრდება, მიხაილოს აქ დაველოდები, და თუ არ ჩამოვიდა, იმ ზამთრის ბოლოსკენ შედეგსაში წავალ. როგორ? ჩვეულებრივად. დაეკეტავ სახლს და წავალ. რა ვიცი, რამენა-

ირად. იქაა, აბა, სად იქნება?

იქნებ მოკვდა? ტანცია ჩაეცინა. რა სისულელეა (ოღონდ ეს არ უთქვამს).

რომ არ დაბრუნდეს? ტანციას კვლავ ჩაეცინა. აბა, სად წავა, თუ არა სტანცია მარგალიტასთან.

მაგრამ ექვ არ უთქვამს, უბრალოდ, ბუხრის თავიდან ჯვრები ჩამოალაგა და ქალბატონს აჩვენა. დაბრუნდება, აბა, რას იზამს.

ოქროსია? აბა?

ეს უკვე სერიოზული არგუმენტი იყო. ლაით კნენა ლოგინიდან წამოასტუნეს, ტანცია მარგალიტას და შენი ნახვა უნდა, მარგალიტა ბატონო.

ბარემე იჩქარა კნენამ, მაგრამ სანამ ჩიკვა, სანამ წყალზე გადავიდა, ამ ტანციას სახლამდე მიალნია, ყველაფერი დამთავრებული იყო.

პატარა ხომ აღარ იყო ტანცია, ორმოცდაათს უკაკუნებდა, სულ სამი წლით თუ იქნებოდა კნენაზე უმცროსი. ჰოდა, როგორც ქალბატონს კარგებშივე მოახსენეს, მუცელს გადაყვა, ვიღაცას მიაბარა თავის გაღიბებული სული. იქნებ მიხაილოსაც შეხვდა, რა ვიცი...

ზუსტად სამი თვის შემდეგ კი ხეობელებმა ქალბატონი მარგალიტა სადგურამდე მიაცილეს. ძღვენი სოფელელებს მიჰქონდათ, ქალბატონს კი უხერხულად ჰყავდა გულზე მიკრული პატარა გოგო, რომელსაც, უკვე დავიწყებული ტანციასი არ იყოს, იგივე გვაირი ჰქონდა, რაც თავად კნენას, და სახელიც მისი ერთე. ეს გოგო ტანციას შვილი იყო, რიტა-მარგალიტა.

2.

ძველ უბანში, ქუჩაზე, რომლის სახელიც უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა, კომუნალურ ბინად ქცეული ყოფილი ვაჭრის სახლის ერთ ოთახში ხალიჩა ეკიდა. საკმაოდ ღამაზი ხალიჩა იყო, კუთხეში ამოქარგული: "1910 წელი". უზარმაზარ კედელზე ის სულ პატარა ჩანდა, არადა, უწინდელ მფლობელთან თურმე ლამის ქერიდან ეშვებოდა და ტახტსაც ფარავდა. ეს ოთახი ძალიან დიდი იყო, ჭაღის გასანწმუნდად მაგდამზე შემოდგმული სკამი არ ყოფნიდათ, და ამ საქმისთვის წელიწადში ერთხელ, სახანალოდ, მფლობლისგან მისივე დახმარებით და დიდი ვაი-ვაგლახით მოათრევდნენ ხოლმე უშიძის გასაშლულ კიბეს. მაგდამზე მარგო დგებოდა ხოლმე, კიბეზე გადაამჯღარი მარგალიტას ჭაღის ნაწილებს ართმევდა, გულში იკრავდა, მერე სკამზე ჩადიოდა, მერე კი - იატაკზე, სადაც უზარმაზარ ვარცლში, ქავიან წყალში ფრთხილად აწყობდა ჯადოსნურ ნივთებს - ბრინჯაოს ყვავილებს, მინის ბურთებს...

ოთახს ორი მაღალი, ვიწრო ფანჯარა ჰქონდა, და მარგოს ფანჯრის რაფაზე თამამად შეეძლო მოკალათება. დაჯდებოდა ხოლმე და მოპირდაპირე მხარეს არკიან სახლს შეჰყურებდა. მარგო დარწმუნებული იყო, რომ იმ არკას თუ გაი-

ლიდა, მერე გვირაბში ამოჰყოფდა თავს, და ის გვირაბი დავით-გარეჯამდე ჩაიყვანდა, სადაც ერთხელ მარგალიტამ წაიყვანა. გვირაბი იქ ჰქონდა ნანახი.

საერთოდ, მარგალიტას იმხანად სულ სადალაც დაჰყავდა. მარგოს ძალიან უხაროდა ხოლმე ასეთი გასაყირნებები და ცდილობდა, რაც არ უნდა დალილიყო, ხმა არ ამოეღო, რომ მარგალიტას მასზე გული საბოლოოდ არ აეყარა და სახლში არ დაეტყუებინა. სახლშიც კარგი იყო, სხვა თუ არაფერი, ზღაპრებს - ფირფიტებს მოუსმენდა, ოღონდ ისეთებს, სადაც სახლში ამბები არ ხდებოდა, აი, ჯინი როცა ბოთლიდან ამოდის და მსგავსები. მაგრამ გასაყირნება მაინც ჯობდა. მერე პავლიკას მოუყვებოდა, რომ აი, ამხელა, არა, აი, ამხელა ხელიკი ნახა, და მცხეთაში ღვეზულები ჭამა და რა ვიცი, რა აღარ ხდებოდა. ერთი ისაა, რომ პავლიკა ცოტა გაიზარდა და მარგოსთან ისე აღარ მეგობრობდა, - რცხვენოდა, რომ მარგო გოგო იყო, მაგრამ ეს მხოლოდ სხვების დასანახად ხდებოდა. თუ მარგო მასთან მიდიოდა და სხვა არაფერი იყო, მაინც მეგობრობდნენ და ერთმანეთს ათასგვარ საიდუმლოს უყვებოდნენ.

მარგომ პავლიკას ისიც კი უამბო, რომ ხალიჩაზე რომ ჯვრები ეკიდა, ბაბუამისს გერმანელებთან ომში ჰქონდა ნაპოვნი. ეს ჯვრები ოქროსი იყო. ის და პავლიკა მაგიაზე ძვრებოდნენ ხოლმე, ჯვრებს ახლიდან ათვლიდებდნენ და ხელსაც ჰკიდებდნენ. ოღონდ ეს საიდუმლოდ ხდებოდა, იმიტომ რომ მარგალიტას რომ გაეგო, ალბათ საშინლად გაბრაზდებოდა და მარგოს საერთოდ გადაიყვარებდა.

მარგოს თქმით, ეს ჯვრები, რომლებიც ბაბუამ იპოვნა, სინამდვილეში წმინდა გიორგის ჯვრები ყოფილა. როგორც ჩანს, წმინდა გიორგიმ დაკარგა და მერე ბაბუამ მიაგნო. მარგოს წმინდა გიორგი ერთხელ ნანახიც ჰყავდა. პავლიკამ კი არ დაუჯერა, მაგრამ ეგ არაფერი. თვითონ ხომ იცოდა მარგომ,

რომ შიო მღვიმეში როცა იყვნენ, იმ დღეს ნამდვილად ნახა, და არაფერი შეშლია - ნამდვილად წმინდა გიორგი იყო.

შიო მღვიმეში მარგო ბევრჯერ იყო ნამყოფი, მარგალიტა იქ წმინდად დადიოდა ხოლმე ასევე იოლად ადიოდნენ, გზაზე აუცილებლად ხვდებოდათ ვინმე მანქანანი. აი, ჩამოსვლა კი ჭირდა, იმიტომ, რომ კაცები ზემოთ თვრებოდნენ და გვიან ბრუნდებოდნენ, მარგალიტა კი მთვრალეებს არ უჯდებოდა.

იმ დღესაც ასე მოხდა. ძალიან ცხელია და მარგალიტაც დაიღალა და მარგოც, ოღონდ არ იმჩნევდა. მაგრამ ცოტა ხანში მარგო მაინც ჩამორჩა, თან ფეხსაცმელში კენჭები ჩაუყვავდა და თითო ვერ ამოიღო. ამიტომ ჩაიცუცქა და ფეხსაცმლის გახდა დაიწყო.

“ჰა, რა იყო, დაიღალე?” მარგალიტა წინ იყო წასული და ელოდა.

“არა” უპასუხა მარგომ, “უბრალოდ, კენჭები ჩამიკვივდა და...”

მარგალიტა მიუახლოვდა.


“აღე, აღე” უთხრა მარგოს, “ცოტალა დაგვრჩა. აი, იმ მოსახვევში წმინდა გიორგი დაგვხვდება, ცხენზე შეგვისვამს და ნაგვიყვანს”.

მოსახვევში წმინდა გიორგი არ დახვდათ. ალბათ, მარგალიტას მოსახვევი აერია. მაგრამ არც შემდეგ მოსახვევში მდგარა და არც შემდეგში. მოატყუა მარგალიტამ.

- გაუძელი-მეთქი ჩვენების მოსვლამდე გაუძელი... აუცილებლად გეიშველიან უბრალოდ, შეიძლება, მერე სათვალის ტარება მოგინოს.
- ვაი, ჩემო უბედურო თავო!..
- შეიძლება-მეთქი... დაარწმუნებული არ ვარ, შვილო...

\* \* \*

მეორე საღამოთი პაპა ისევ მოვიდა. რომ შემომხედა, ერთი პირობა შუბლი შერკა, მაგრამ არაფერი თქვა და კვლავაც ჯირკვლე ჩამოჟდა.

- მე სიონისდ ვფშვნიდი.
- რაო? - შევეკითხე მე.
- სხვანაირი ჩანხარ... - აღმოხდა დღედუნით პაპას. - სულ სხვანაირი...
- როგორი? - გამოვიკვრდა მე.
- რაღა მახსოვს... - აიქნია ხელი პაპამ. - აგერ უკვე ფეხზე ჩაცმა მივინწყებდა...
- პაპას ფეხებზე დავაცქერდი და გაყვითლებული ფრჩხილების დანახვაზე გემრიელად გადაამეხარხარა.
- იცინე, პო... იცინე... - გულიანყვეტით ამოთქვა პაპამ და მეც უმაღლ მოგმუნე პირი.
- ფერში კვლავ შემა ტკაცუნებდა.
- რა ვწნით? - შემეკითხა დუმილის შემდეგ პაპა და

მეც მაშინვე ახედიე.

- ახლა უკვე თითქოს მეც სხვანაირი მეჩვენა პაპა და უცნაურადც გამაჟოროლა.
- ვბრძვებით კი არა... - ვთქვი უცებ და გაეწუმდი.
- ვერებით - დამასწრო პაპამ და ფეხზე წამოვდგა.

\* \* \*

- მამა, აქამდე შენც ხომ იცი, რა ბუზებივით მხვდოდნენ ქსელში... ანი ვინღა მომეგარება?... ვინ?!... სათვალისანი ვისღა მოვეწონები. პა?!
- შენც მუქი შუშები ჩაისცი, შვილო, ვითომ მზისაა...
- მუქი?!.. მერე ზამთარში რაღა ვქნა?!
- ჩვენკენ ხომ ზამთარშიც იცის მზე...?
- არა, არა!.. ნუ ამბობ ეგრე... ხომ იცი რანაირი ვარ... მიხთარი, როგორ ავიტან სხვის თვალში დამცირებულ საკუთარ თავს?... თან ეს ტკივილი მამა, ისე მტკიავ რომ... იქნებ მომკლა და მომასვენო!
- დანწარდი-მეთქი! ტკივილით მეც ბევრი მტკიავ, მაგრამ ჩუმად ვარ!
- გთხოვ, მამიკო!
- შენი სიკვდილი ჩემი ხელიდან დღეს მაინც ვერაფრით გამოვა...
- აბა, ასეთი ვის დავენახო. ვის?!
- ეპ. შენ მხედველობაზე დარდობ, შვილო... მე კი დემ...

- სხვა რაზე ვიდარდო, რა ჯანდაბაზე?!
- მე კი, ხმას არ ვიღებ... არადა...
- ნუ იღებ!.. რა არადა?...?
- არაფერი.
- რა არადა-მეთქი! ახლავე მიხთარი!.. მამა!
- არ დამიჯერებ...
- მამა, მიხთარი, ნუ მანვალე!
- რა და...აფეთქების დროს თავი...
- თავი?
- თავი კი არა, სხეული დავკარგე-მეთქი, რომ გითხრა - დამიჯერებ, შვილო?!
- კარგი რა, მამა... რეგეს ბოდავ?... რა თავი?... თავი თუ დავკარგე, როგორღა მელაპარაკები?
- თავი კი არა, სხეული-მეთქი!..
- ბოდავ რაღაცას, მამა!
- ვბოდავ?... აფეთქების ეპიცენტრთან იმდენად ახლოს ვიყავი, ტალღა შიგ კისერში წნვდა... თავი მომაგლიჯა...
- მამა!
- თავი კი არა, სხეული-მეთქი... და აქეთ გადმომიხსროლა, შენი გვერდით...
- ნაღდი ბოდავა... მამა... სიცივეს... ვერ იხსენებდნენ, მევე კი შენც დამიძახე...
- გაჩუმდი!
- ჩემი სხეული კი, სადღაც, აქედან ძალიან იქით, შორს გადია... ალბათ უკვე უსიცოცხლო და გულგაჩერებული.
- მაშინვეც, არა, მამა? მეხუმრებიო!.. მაგარი სახუმარო დრო გამომიხატე, აი... კაცმა თვალისჩინი დავკარგე, სათვალისნად დარჩენა შემუქრება, შენ კიდევ, როგორც ყოველთვის მახსარობის გუნებაზე ხარ... რა ხართ მაინც ეს მშობლები მაინც, პა, მამა?
- ეპ...
- რა ეპ?!

\* \* \*

მესამე საღამოს მოედანზე კოცონი დაინთო. მაგრამ ვიდრე დაინთებოდა, კია ხანს იწვალეს. ვერ იხსენებდნენ, როგორ უნდა მოეკიდებინათ ცეცხლი ერთმანეთზე აკოკოლავებული შემოსათვის.



არავის აღარ ახსოვდა.

ისევ პაპა მოაგზავნეს ჩემთან.

- გამო კაცი გარეთ... რაა ეგ სულ სახლში ჯდობა?

- ახლა რაღაო?

- გამო, ცეცხლს მოგვიკიდოთ თუ კაცი ხარ... არ გვინდა მეტი არაფერი... შეინახე შენთვის, რაც იცი... მხოლოდ ცეცხლს მოგვიკიდო დე...

- ცეცხლს მოგიკიდოთ? - გამოდი, გამო... ეგ შირობა კიდევ სხვა დროისთვის გადადე... ისე გამო... აღარაა დრო თუ?... მოგვებმარე - ბევრს ხომ არაფერს გთხოვთ...

ცეცხლის ანთება კი მასსოვდა. უცებაც აუვით და დაინყო:

თუ კი რამ ძველმანი ებადათ, რაც კი რამ ჭქონდათ - ოღონად სიძველის ელფერიც რომ გადაპკრავდა. ყველაფერი გამოიტანეს გარეთ - ... დაინყო ყველამ მისი ჩაყრა ლამის ცაზედ აბრაილებულ კოცონში.

- ყველაფერი უნდა მოვიშოროთ... გამოვიგავოთ... - ამისხნა პაპამ. - პაპაჩემისგან მასსოვს... - აიხედა პაპამ ზემოთ.

- რეები გხსომებია?

პაპა შუბლისკვრით მომაცქვრდა.

- ეგ კი მასსოვს... - თქვა მერე. - რა დამაფინყებს... ეგეთი არავის ავიწყდება...

- მერე?

- იქნებ გვეშველოს რამე... ზუსტად კი არ მასსოვს რომ ვგრა, მაგრამ მაინც... ცდა რისი მონახევიერა?

- ბედის იყო იქ... - ავიშორე თითი ცისკენ, რომელიც ვარსკვლავებით იყო მოჭდილი.

- აქაც - თქვა პაპამ.

რომ მორჩნენ, უზარმაზარ კოცონს ირგვლივ ჩამოუსდნენ და ცეცხლის ენები აგვერეკლა თვალებში.

უკვე ღამე იდგა.

ყველამ ზემოთ აღაპყრო თვალი - დედამინას ექებდნენ მზერით.

მაღვეე იპოვს და ერთხმად დადუმებულიები ააჩერდნენ.

ძლივს ჭიატებდა. ხან უფრო აინთებოდა, ხანაც პირიქით - იქამდე მიბუჭდებოდა. ყველას გულს უკუმზავდა, მაგრამ მაინც არაფრით ქრებოდა.

პაპა ჩემს გვერდით იჯდა. ისიც ზემოთ იყურებოდა და მიმივად სუნთქავდა.

- რა ხდება ეგეთი იქ... - ნაიურულა მერე და ცალი თვალით გადმოშვდა.

მზრები ავირჩქე და ზუსტად ამ დროს მარჯვენა თვლივც ამჩნვა - თითქოს რაღაც ნამცვეე ჩამეგრანოდა.

მოვისრისე.

მაინც მენვოდა.

უცებ მარცხენაც ამჩნვა.

ორივე ხელით მოვისრისე.

ვიგრძენი, რომ თვალები ამინთლდა და ამინყლიანდა.

- კიდევ კაი ეგ არავის ავიწყდება... - თქვა პაპამ.

- რა? - ვერ მივხვდი მე.

- ცრემლი. - მიპასუხა პაპამ და თვალებზე ხელი აიფარა.

\* \* \*

- დაეფიცებ ყველაფერს, რომ არ ვმასხარაობ. შეილო!

- რას დაიფიცებ?

- ყველაფერს-მეთქი... სანყალი დედაშენის სსოვნას.

თუნდაც... თუმცა რა საჭიროა... ხელის მოძრაობა ხომ შეგიძლია? ისიც ხომ არ გაგაფიქტა აფეთქებამ?... - არა, ხელი ორივე მთელი მაქვს! ეგლა მაკალი...

- მოდა, მარჯვენა ოდნავ მარჯვნივ გამოსწი...

- კარგი რა, მამა, რა დროს მასხარაობაა?... - გუუნებია!

- ხო, კაი... ჩემგან მარჯვენა, თუ შენგან?

- რა მნიშვნელობა აქვს... აი ეგრე...

- მერე?

- რალა მერე... ეს ჩემი შუბლია. ახლა ქვემოთ ჩაცურე, ჩემი ბიჭი...

- ქვემოთ? ქვემოთ საითკნა?

- მო, მო, აი მანდით. ცოტათი კიდევ... ი! ეგაა... ჭე, მაინც არ გგვრა, მამა გენაცვალოს?

- ღმერთო ჩემო!...

- დიხატა...

- ღმერთო დიდებულო!

- ღმერთს თავი დაანებე... ახლა ხომ გგვრა, რომ სწორედ თავიდა დააჩრდილ შენი სპორტული აღნაგობის მამიკოსგან, ვისზეც თავის დროზე შენზე არანაკლებ იროდნენ ღამაში გოგოები!

- ღმერთო დიდებულო ეს რა დაგვმართა, მამა... როგორ?! მე კიდევ ზუმრობა მეგონა, ისე მამხენებდი...

- რას იზამ, შვილო...

- კი მაგრამ, რალა გეშველება, მამა?... რალა გეშველება კი არა... თფუი... რა საზიზრობებს ვკითხულობ!

- მაგაზე ნულარ იდარდე... ყველაფერი ხდება...

- რა ყველაფერი?... რალა უნდა მოხდეს, ამაზე უარესი, მამა?... კი მაგრამ სხვები? სად არიან სხვები? ჩვენები?... პა, მამა?

- სხვები?... ეჰ, როგორც ვხედავ და მესმის, შვილო.

მგონი აღარავინაც აღარაა - ყველანი დაილუნქენ!

- ირგვლივ სულ სისხლის გუბეები დგას და ხორცის ნაფლეთები ყრია, შვილო...

- გაშრდი...

- შენ ხომ ტკივილს სიკვდილით გინდოდა მორეოდი?...

- მამა...

- მე კიდევ შენი კი არა, ანი ერთი ჭუჭყიანი ბუზის მოშველელიც აღარ ვარ!...

- გმუდარები, გაჩრდი!

- ეგ კი არა, შენს ქმარზე ჩემი ნაშუქარი რევოლვერი ჰქვია... უკვე მე გთხოვ - ხელი მოკიდო და თანაგრძნობით გამიმხრებო შუბლი.

- არა! არასდროს, მამა! ნუ მავალბე საშინელებას!

- გთხოვ!

- მე რომ მაგის ოდნემე ჩამდენი ვყოფილიყავი, აქ ამდე ვიზამდი!

- რა თქვი?

- ძალიან გთხოვ. კარგად გამიგე. მამა... მე ვერ გამოვკრავ ჩამხას თითს! არც იქნება საჭირო... მაღე ჩვენები მოვლქნი და გაგვიყვანენ!

\* \* \*

დილისკენ პაპამ უცნაურად შემოშვდა.

- ვინ ხარ?

- ვინ ვარ? - დაფიქრდი მეც.

- ვინ ხარ?... ან მე ვინ ვარ?... სად ვართ?! - დაფეთდა პაპა. ფეხზე წამოდგა და მიმოიხედა.

სოფელში ნისლი ჩამოწოლილიყო, სახლები ძლივას ილანდებოდა.

- აქ... - ვუპასუხე მშვიდად და მეც წამოვდექი.

ერთმანეთის მეტს ვეღარავის ვხედავდით.

მერე ადგილზე დავტრიალდით.

ნისლი სულ უფრო ბლანტდებოდა და გაუმჭირვარელი ხდებოდა.

- გზა საითა? - იკითხა პაპამ და ხელისცეცებით ნადგა ნაბიჯი ჩემგან ნისლში.

მისკენ გავინივ, მაგრამ გვიანი იყო. პაპა აღარ ჩანდა.

ხელეების ქნევა ავტმტე. მერე დავიღრიალეთ:

- შექვივო!!! პაპა!!!

მაინც არაფერი. არანაირი ხმა და პასუხი. არც ნიშანი. ასე სახალმდეც ვერ გავაგნებდი. შეიძლება სადმე ჩაწიხილიყავი. სახლიც არ მახსოვდა სად იდგა და რომელ მხარეს. გამოსავალი თითქოს არ ჩანდა. სოფლებიც ყველანი ერთიანად დაკარგულიყვნენ. არც სოფელი ჩანდა. აღარც მოვადანი. აღარც პაპა. აქაურობა თავისი მაცხოვრებლებიანად ბლანტ ნისლს დაეფარა - გაუვალს, სქელსა და უიმედოს.

\* \* \*

- ჩვენები აღარ მოვლენ. შვილო...

- რას ქვია, აღარ მოვლენ? შენ თვითონ არ ამბობდი, მოვლენ და გაგავიწყვნილო!

- ახლაც ვხედეები, რომ სისულელეა...

- მოვლენ. მართლა მოვლენ და მე ვცხვიყ... აგერ ნახავ, მამა... შენს თავს სასწრაფოდ ლაზარეთში წაიღებენ და შენს სხეულზე. ანდა თუ ვერ იოვეს, სხვა თავმოგლეჯილის ტანზე მიაკერებენ!

- გრამაფონში!

- მე სინათლეს დამიბრუნებენ, მამა... მუცე შუშებს ჩავისვამ! მართლა გეუბნები... ზამთარშიც სათვალთ ვივლი! შენთან ერთად!

- გაჩერდი...

- ნახავ... ჩვენ კიდევ ბევრჯერ წავალთ სტადიონზე ვებურთის საყურებლად... მზესუშხირას ვიყიდით ბეჭერს...

- გახსოვს ბოლოს რომ ვიყავით?

- მაგას რა დამავინწყებს... შენ რომ მსაჯეს დედა შევაგინე და გვერდით თურმე მამამისი რომ გვეკვდა.

- კი დრო იყო, შვილო...

- იყო?!! იყო კი არა, იქნება! ჩვენები მოვლენ, მამა შენ ტანს მიგაკერებენ, მე თვალის ჩინს აღმიდგენენ! ზღაზეც წავალთ. ცურვაში ხომ ისევ მავლობენ. სამაგიეროდ, მე უფრო დიდხანს ვცვინთავ...

- გახსოვს, ძლიერი ქარიშხალი რომ ამოვარდა და ჩვენი ლიბინი იმ შენი გოგობიანად შუა ზღვაში რომ წაიღო?

- აგერ ნახავ, კიდევ თუ არ იქნება, მამა... თხილა-მურტბუცე დადგებოდა. თხილაურები ისევ შენ უნდა მათხოვო. ჩემები ხომ იცი, როგორი მოკლეა... ხან მე დავეშვები, ხან შენ.

- ბოლო დაშვებაზე ფეხი რომ მოგტყვდა და მედპუნქტამდე ხელით რომ გათრიე, შვილო...

- მახსოვს, მამა... რა დამავინწყებს...

- ნელი მთელი კვირა გაკავებული მქონდა...

- იქნება კიდევ იქნება! აუცილებლად იქნება, მამა! რატომ არ გჯერა? აი, ჩვენები მოვლენ და...

- არავინაც აღარ მოვა, ჩემი ბიჭი ყველაფერი პირთამდე მომხარბია და მე მგონი, ერთადერთი ვართ, თუ ორად-ორი, ვინც გადარჩა...

- სსუ!

- არ მოვა-მეთქი არავინ...

- ვილაცა ხომ მაინც გადარჩა?...

- ჩვენ-მეთქი... ეს ძალიან ძლიერი აფეთქება იყო,

შვილო... სიარული ხომ შეგძლია?

- სიარული?

- წამოინივ, ადე, ადე, გაუქელი!

- მძმ, საშინლად მტკიავ, მამა...

- არ მიაქციო ყურადღება... ადე, ადე, და იცი რა ქენი?

- პო...

- ჩემი თავი აიღე ხელში!

- რა შენი თავი, მამა?...

- აიღე-მეთქი!

- ხელში?

- აი მისე... კარგად მომკიდე... მე ვხედავ გზას და, თუ გასვლა - ერთად გავალთ...

- ვერაფერს ვხედავ, მამა...

- პირდაპირ გადადგი ოთხი ნაბიჯი... ეგრე... ახლა მარცხნივ. ერთი, ორი, სამი... სტოპ!

- რა ხდება?...

- ფეხი არ დაადგა. ვილაცის მოგლეჯილი ბარძაყი გდასა... ოღნავ მარჯვნივ და პირდაპირ, ოღონდ ჩემი თავი არ გაგვიარდეს - ძალიან ცუდად გიჭირავს, შვილო... ნესიერად დამიჭირე! თითები კარგად შემომაჭირე!... მარცხენა ხელიც მოახმარე!

- ცუდად ვარ, მამა...

- განვარძეთ გზა... თამამად... პირდაპირ სამი მოკლე ნაბიჯი... ახლა მარცხნივ შეუხვიე... ფრთხილად, ამ მუცელგამოფარულს არ დაადგა ფეხი!

- ვაი, დედა...

- რა გაკვენსებს...

- აღარ მივიღი, მამა?

- ნესით კი უნდა მიგსულღიყავით.

- იქნებ გზა აგვერია?

- არა... აქაც გვაპებია.

- ბევრი?

- ...ვიდრე წარმომედგინა, იმაზე დიდი აფეთქება ყოფილა... წინ ოთხი ნაბიჯიც და მერე მარჯვნივ შევქუვიით... აი ეგრე... აგერ წყარო...

- დავიფარე და ყველაფერი მტკიავ, მამა!

- პოდა, წყალი დავლიოთ... მეც დამალევივ... ცოტა შევისვენოთ... ჭიჭა აგერ დეგს, შვილო... მარჯვენა ხელი წინ გაიმვირე... ოღნავ მარცხნივ... ოოო. კარგაა...

ჩაბლუჯე და არ გაგვიარდეს... ახლა ცოტა დაიხარე... ჭიჭიანი ხელი არსად გასწიო... ზუსტად შენს ქვეშ მიილია, სიადრედ წყალი გადმოიღის... ააჟე... ცოტაც.

- ცივი წყალი...

- მოსვი და მეც მომამხვივო... პირი ხომ ხედეები სად მაცქვს. შვილო?

- ვიცი!

- კარგი ხარ... მეტი აღარ მინდა... გადაადგე ეჭ ჭიჭა... აღნავ მგონია კიდევ ვინმეს გამოადგეს!

- იდის რა... ახლა საით? ღმერთო ჩემო, რა საში-

ნელიებაა!

- ჩაუ! რა გაყვირებს... ანდა იყვირე რა. მაინც ვერავინ გაიგონებს.

- ნუთუ მართლა ყველაფერი აფეთქდა, მამა?

- სულ ვაღალაფერი!

\* \* \*

რომ გაშეღვიძა - ძირს ვინეკი. აქაურ მინაზე. მინა გრილი იყო - ოღნავ წითლი... სხვა სუნი ახდებოდა. ვერ ვიხსენებდი - რისი...

ირგვლეც სიწუმე იდგა. აღარც ნისლი იყო და არაფერი ეგვით.

მიმოვიხედე, მაგრამ ვერავინ დავლანდე.

სოფლები ალბათ უკვე სახლებში შექცეულიყვნენ.

თავებიც ალბათ ბალიშებზე ეწყობ და აუცილებლად სიზმრებში ხეტიალობდნენ.

ფეხზე წამოვდექი და ჩამოვიფერებო - სულ დამტყვროლი ვიყავი. რომ გაესუფთავდი, მივაყურადე. საერთოდ ვერაფერი გავიგონე და მივხვდი - უცნაურად მძიმე სიჩქმე იდგა გარშემო.

მერე ცას ავხედე.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კაჟაშმა ვარსკვლავები იყო მოჭყდილი.

კიი ხანს ავყურებდი. ყველა ვარსკვლავი ლამის ერთდროულად მერეკლებოდა თვალებში.

რომ მოვინებრე, დედამინას დავეწყე ძებნა.

დიდხანს ვეძებდი - ვატრიალებდი თავს აქეთ-იქით. ლამის მთელ საათს. ცასაც ამ ყურებაში თითქოს მელნისფერი შეეპარა და მტრედისფერისკენ იწყო გარდაქმნა.

მაინც ვერ მივაგენი. ერთი რაც შევაშინე - მის ადგილას მხოლოდ ლაქაა ჩანდა - პატარა. შუკი ნისლივით ერთი ბუნო ლაქა.

მზერა მოეძაბე და კიდევ დავაკვირდი.

არ მეშლებოდა - ლაქა იყო მხოლოდ და მორჩა.

უცნაოდ საშინელმა ჟრუანტელმა დამიარა. ერთიანად გამაცია და ყველაფერი ერთდროულად მომიინდა: ტირილიც, სიცილიც, სიცოცხლაც, სიკვდილიც...

\* \* \*

- მორჩა... ასე აღარ შეიძლება! აღარც შემიძლია, მამა!

- დანყნარდი!
- ამ ჩემს სიბრმავეს. საეჭვოდ აღდგენილ მხედველობას, საძაგელ სათვალეს, მიჩრჩენია საერთოდ არ მედგას ეგეთი თავი კისერზე!
- რეებს ბოდავ?! მარჯვენე ვატრიალდი და წინ ექვსი ნაბიჯი, შეილო!

- მორჩა-შეთქი!
- დანყნარდი!
- მე უკვე ვიცი, რაც უნდა ვქნა. მამა!
- გაჩერდი-შეთქი, ჩემი ბიჭო!
- არავითარი ჩვენები აღარ არსებობენ!!! აქ ექვ იგი ყველაფერი მორჩა, მამა!

- მაგას თუ ხვდები, კაია...
- მოიცა... შენ რომ მარჯუქ, ის დასაკეცი დანა ჯიბეში უნდა მედოს... გულის ჯიბეში!
- რომელი დანა?!
- აქაა... ვიპოვე!!! ძალიანაც კარგი...
- რაიმე სისულელე არ ქნა, შეილო!
- მე ვიცი, რასაც ვიზამ!
- გაჩერდი-შეთქი...
- იმას, რაც თავიდანვე უნდა მექნა, მამა!!!
- რეებს ბოდაილო?!
- საერთოდ მოვიჭრი თავს და შენსას დავიდგამ მხრებზე!!!

- რაა?!
- რა და, რაც გაიგე, მამა!
- შენ გაგიჟდი!
- ჩვენ ხომ რამდენი ხანია ერთად მოვდივართ - მე შენიდან, შენ შენი მამისგან, ის კიდევ უფრო შორიდან...
- არ გინდა!
- ერთი სიყვარულით, ერთნაირი გემოვნებით, ერთნაირი მიხერა-მოხერით, ერთნაირი სურვილებით...
- არ ქნა!!! არაააა.....
- და ვტირებ მაინც... ბოლოჯერ, მამა... შენს მაგიერად... ყველას მაგიერადაც... ვინმემ ხომ უნდა ტყიროს,

ვიდრე ყველაფერი საბოლოოდ დამთავრებულა...

სადღაც ყურისძირში მამალი აყვილდა: "იყოდაარაიყოიოო..."

ყური მივუგდე. მამალი იყო რო?.. ძალიან ახლებურად ყოდა - სულ სხვა ხმით და გაბმულად. ყოდა და არ ჩერდებოდა.

არ ვიცოდი რა მექნა. მიმოვიხედე ყველაფერს ვაკვირდებოდი:

აგერ სახლები. მძინარე სახლები. ადამიანებიანი სახლები - ერთნაირები. დაბლები. სანწყლები...

მერე აქაურ პორიზონტს მოვაველე მზერა - მიებიც მესხვანიაო. გორაკებიც. ხეობაც.

მერე ძალი აყვიდა. უცნაურად ჰყვიდა. სულ სხვანაირად:

"აღარვარ... აღარვარ" - ძალი იყო რო? გულმა საშინელი ხმაურით იწყო ხტომა.

მერე ერთ-ერთი სახლის კარი გაიღო. იქიდან ვილაც გამოვიდა და ბოსელში შეაბიჯა. ვერ ვიციანი. იმას მერე მოჰყვა. წყაროსკენ გაუყვა. ხელში სხვანაირი დოქი ეჭირა - დოქი იყო რო? - და თვითონაც უცნაურად გამოიყურებოდა.

სოფელი იღიჭებდა. "იყოდაარაიყოიოო..."


ყველაფერი სხვანაირად გამოიყურებოდა და სხვა სუნი ასდიოდა.

"აღარვარ... აღარვარ" თვალები მთელი ძალით მოხუტე და უცებ ძალიან შემეშინდა:

- მაინც ყველაფერს ვხედავდი.
- გაკვირვებულმა ქუთუთოები ფრთხილად მოვიხინეჯე - თვლები აშკარად დახუჭული მქონდა.
- საშინელმა შიშის გრძობამ ლამის სუნთქვა შემეკრა.

ფრთხილად მოვისვი ლოყებზე ხელი... ნიკაბზეც. ცხვირზეც. ნარბებზე. საფეთქლებზე. შემდეგ შუბლზე ავიცურე და ვიდრე მოულოდნელობისგან ერთიანად გამაცხლებლდა, კიდევ ერთხელ გავიგონე: "იყოდაარაიყოიოო..." "აღარვარ... აღარვარ"

შუბლზე მესამე თვალი მქონდა და იქიდან ცხარე ცრემლი მდიოდა.



# რამე აპალაომალი

\*\*\*

რამდენი რამე არსებობს გარდა იმისა რაზეც ჩვენ ვფიქრობთ, ანუ რა ცოტას ვფიქრობთ და ფიქრს უმისამართოდ ვუმიზნებთ... საგნების განუსაზღვრელ სისავსეს, ხოლო განცდებით ჩვენზე ფიქრის საზღვარს არ ცდება, შესაბამისად ჩვენი ქედება ჩვენი ფიქრით და განცდით შენდება, რომლის წიაღშიც დამწყვედეულები ვსხედვართ და შიშით გვიცემს გულები – ერთ მშვენიერ დღეს რომ არ დამისხვრები ამ ციხეების ცხრაკლიტულები.

## - ბასპარ ჰაუზერი

ჩვენ ვამბობთ სიტყვებს, ვღებთ შინაარსს და მნიშვნელობას ვანიჭებთ ყოველ ნათქვამ სიტყვას და ეს სიტყვები წინადადებებს ქმნიან, როგორც ქმნიან შენობას წარმოსახვაში, მერე ცხადში ავეზილებით ყოველ საჭირო სამშენებლო მასალას, რომლის შევსებითაც აშენდება წარმოსახული და შემოუსაზღვრავთ ითხა კედლით ჰაერის ოვალს, რომელსაც სიტყვით ქვია ჩვენი სახლის სახელი. ჩვენ გვაქვს სხეული, ჩვენ გვაქვს სახე, ჩვენ გვაქვს იერი და ამ იერში, როგორც სახლის შიგნით ჰაერი ცხოვრობს ჩვენზე არსებობის სიცარიელე, რომელიც თავად სიტყვა არის. მრავალნაირი მნიშვნელობებით გამოითქმის შიგნიდან გარეთ და ქმნის გარეგანს, როგორც ჭურჭელს და მოძრაობას იწყებს საგნებში ფიზიკური თვალისგან მალვით, ანუ ყოველთვის შემჩნევს იგი თვალს გაურბის რომელიც მისკენ არ გარბის და საგნების შიგნით არ ეძებს სიტყვებს, საკუთარ თავს, ანუ თავისთავს. ჩვენ ვართ სიტყვა და ყველა ერთად ჩვენ ვართ ის წიგნი მუდამ რომ ცდილობს საკუთარი თავის წაკითხვას. ჩვენ ვერვადვო საგნებს, ვღებთ შინაარსს და მნიშვნელობას ვანიჭებთ ყოველ ხილულ საგანს და ეს საგნები გარე სამყაროს ქმნიან, როგორც მთლიან შენობას, რომელშიც ცხოვრობს უხილავი და მისაგნები ჩვენზე არსის მსგავსი არსი – გარე-მოცული ნივთიერებით, ანუ სახლით, ანუ შენობით, საიდან იგი ღინებების მსგავსად მოცურავს განცდებად, ფიქრად, შეგრძნებებად, აზრად, მსჯელობად

ამგვარად გარე-გამოაყვებს, ასე ამყარებს ორგვარად სიტყვა, საკუთარ თავს, ასე ინახავს აზრს – "ვიხედებით შინაგანში ვხედებით სამყაროს თუ სამყაროში გავიხედავთ, ვხედავთ – შინაგანს."

\*\*\*

წვეთში ზღვა არი, ზღვაში წვეთი  
ღმერთში მთლიანი  
სუთქავს კაცი და კაცში ღმერთი –  
აღამიანი.

თუმცა განუწყვეტილვ ბეწვზე კილია  
მართალი არი,  
მანც საკუთარ თავზე დიდა-  
უკიდევანო ზღვის სიმშვიდეა  
აღამიანი.

ამ კილის იქით კიდევ კიდევ  
სადაც ხშიანებს –  
აღამიანი არის იდეა;  
სხვა სიდიდეა  
აღამიანი.



\*\*\*

აღამ-მე-ანი არის ჩემში და არა მარტო ჩემშია, ის ზომ შენშიც არის, როგორც მზეშია სინათლის წყარო – არა როგორც უმისამართო, არამედ მიზანმიმართულად მზიდან ფრთებს შლიან მზის არსებები, სინათლეს რომ ქვე-ზილები - ან და ღინებს ამ შუქისას სიგრძეში ღვრიან და სინათლეში ოშვებიან ჭრელი ჩიტები, რომლებსაც თუ კი შე-უსწვდები – აზრები ჰქვია. ამ ჩიტებს მოაქვთ მზიდან ჩუნსკენ აღამ-მე-ანი ჯერ რომ არა ვართ, მაგრამ ჩვენში რომ უნდათ ბუდე არა გალია, რადგან მაშინ მხოლოდ ტყვე არი თავისუფალი ფრინველების ფერადი გუნდი. ჩვენს გუმათებზე სხდებიან და ჩვენზე პურით თუ გაწვდილია ხელის გულით – იკვებებიან, ჩვენ კი მათი რძით ვიკვებებით, ანუ იმ სულით, რომლის გარეშეც ეს ტაძარი მხოლოდ ქვებია.


\*\*\*

თითქოს ვარსკვლავი მოწყდა ცაზე –  
ქვემოთ მიწაზე სინათლის საზოთ  
დაეშვა, როგორც აზრი და ასე

ივრძო სისავსე და ვანსხეულდა  
აღამიანის განსხვავებულ და  
უცხო ჭურჭელში, და გზას შეუდგა

ჯერ როგორც ბავშვი, მერე ვმავილი,  
სადაც შუაში ამ გზის მანძილზე  
ის გახდა კაცი, რადგან ნაწილი  
მას კაცბრძვიც ჰქონდა, მალევე  
ჯვარს აცვს, რასაც თითქოს მალაყენ,  
მაგრამ ამ ქვეყნად სიტყვით არავინ

სიკვდილით დასჯას არ ითხოვს, გარდა  
აღამიანის, ის რად ღირს ანდა –  
ღმერთს ეს სურდა, მას ასე სწავდა.



## ჩვენს შორის

ამგვარად ყველა წამებას მისას  
 მასვე ბრალ-ღებენ და ყველა სისა-  
 სტიკეს, რომელიც “ამართლებს მიზანს”

ჩადან მისი სახელითვე და  
 ის ახლაც ითმენს რასაც ითმენდა  
 ჯერიდან სისხლი რომ ჩამოიღვენთა.

მოკლედ მას შემდეგ რაც ღმერთი მოკლეს,  
 რაც სამ დღეს მკვდრეთში ფიზიკად ეძინა,  
 არა თუ შობას, ანუ სიცოცხლეს,

სიკვდილსაც თავის აზრი შესძინა.

## ბალი

არა მიწიდან, არამედ მზიდან  
 სინათლის ბალში ამოყვანილი,  
 ყოველ წელიწადს ვარდება ჯერიდან  
 წითელი ვარდის შვიდი ყვავილი.

რა არის ჯვარი, თუ არა ვაზი  
 თმებით შეკრული და მოტანილი,  
 სიკვდილისავეთ ღრმა არის აზრი –  
 დაეცეს ჯვრიდან მიწას ყვავილი.

როგორ აწვევა ლოდი სამარეს,  
 მიწა აივსო ვარდის სურნელით,  
 როგორც მსუბუქი ფრენის სურვილი  
 პაერი სუნთქავს იასამანით.

სამარხს ცარიელს ქვის ბეჭულს ახსნის  
 დილა – მზეების გულსავე მკერდი,  
 სად საიდუმლოს ვარდისას ახსნილს  
 ტოვებს მებაღე აღმდგარი მკვდრეთით.

## ღმკი

რა ხან შენ დგახარ. თან ხარ, თან არ ხარ.  
 ქვა ხარ და ქვაში ხმა ხარ და გაეხარ  
 აღმავალ ლოცვას, რომელსაც ამხელ  
 და რომლის დროსაც ტანიდან გახვალ  
 შენ იმხელა ხარ. და რახან დგახარ  
 სახვა ხარ, სახვე სახეთა სხვაგვარ  
 შინაარს ზენას, სიღრმეთა წიაღ  
 რომ მარხავ, დიად! აღდგომად მარხავ.  
 აღდგომა ახლავს შენს ყველა ზრახვას  
 სულისას, რომლის გვამ ხარ და გვახარ  
 მის სახელს ახალს, რახან შენ დგახარ.

ჩვენს შორის მხოლოდ ქუჩები წვანან  
 და ეზოებში შესახვევები,  
 რომელთა გასწვრივ დიდ და დრო მწკანე  
 შენს ფანჯარაში დიდი ხეები

ინებლებიან, თითქოს ეძებენ  
 შრიალში ჩრდილებს საკუთარს, ბინას  
 ზეჟარავენ, როცა ბინდი ეცემა  
 იმ სარეცელზე რომელშიც გძინავს

შენ ყოველ ღამე, და ყოველ დილა  
 ჩვენს შორის ერთი ამოდის მზე და  
 ამოდის ისე მშვიდად და ფრონილად  
 რომ ხშირად მზესაც ვერ ვამჩნევთ ჩვენდა


საუბედუროდ მე მაინც მინდა  
 შენთან მოვიდე ეზოდან, გზიდან,  
 ქუჩიდან, მაგრამ ამ მოლოდინმა  
 ისე დამაღალა – ვეღარ მოვიღვარ

გაზაფხულობით, როდესაც უცებ  
 რატომღაც ვილაც გიფვარს და წუხხარ,  
 შენ კი არ გიფვარს – გაზაფხულს უცემს  
 გული შენში და გაზაფხულს უფვარს

ის, ვინც არასდროს მე არ ვყოფილვარ  
 სრული სახით და შეგრძნებით, ყოვლად  
 არც სარეცელი არ ვაყოფილა,  
 არც თეთრეული – ჩვენს შორის მხოლოდ

უკაცრიელი ქუჩები წვანან  
 და ეზოებში შესახვევები,  
 რომელთა გასწვრივ დიდი და მწკანე  
 ინებლებიან საღამო ხეები,

და ახლა როცა ზაფხული დადგა,  
 ქუჩებს თავისით საღლატ მიფვავარ,  
 ქუჩებს ვაბრალებ, არ ვიცი რადგან  
 ლექსებს გიწერ თუ მარალა მიფვარხარ.



იჩნება პალატი

სანდახან გეგვენება, რომ სიცოცხლე უსასრულოა. უუსასრულოესი...

მაგრამ ეს ხანდახან... თანაც ძალიან იშვიათად...  
...ნამიერად გაიელვებს, როგორც მაისის ცაზე გაზაფხულის ელვა. გაიელვებს, გაანათებს შენს მოღრუბლულ ფიქრებს და ისევ ჩაქრება, ისევ ჩამობნელდება და იმ მყისიერი გაციკროვნების კვალსაც ვეღარ აღმოაჩენ ვერც შენს ფიქრებში, ვერც სულში და მით უმეტეს, ვერც რეალობაში - დამყაყუბულ, დაჭხოობებულ ცხოვრებაში და კიდევ უფრო მოიქუფურები, კრდედ უფრო მოიბუზები და შექვრები შენს ნიჟარაში.

ასეა რა! დაიბადები, თვალს რომ გაახეღ, მიხიხედ-მოიხიხედავ და აზრზე მოხვალ, ამ ცხოვრებას გემოს უგუბ და ბაც - წასვლის დროც დგება. გინდა არ გინდა, არავინ გეკითხება, ისევე როგორც მოსვლისას არავის აუღია ნებართვა - გინდოდა თუ არა საერთოდ ამქვეყნად გაჩენა. არადა რამდენი იტყოდა უარს?

მაგალითად მე.

\* \* \*

აქამდე ყველა გზაბანეულს მეძახდა. ისე, ჩემი მეზობელი ყუჟუნა დღესაც ამ აზრზეა და ვერაფერს დაარწმუნებს საინინალმდევროს.

ტოყ მე-

თავისი სამზარეულოს ფანჯრების იქით არ გაუხედავს და შესაბამისად ბუნკერად მანანალა ძალღების მიერ გადმობურგული ნაგვის გარდა არც არაფერი დაუნახავს. მიხედოს იმ თავის ჩახოხიბლს (უკეთეს შემთხვევაში, ჩვეულებრივ კი - უზორცო, როგორც თვითონ ამბობს, "ტყუილ" სოუსს) და თავი დამანებოს, რაა!

შემეშავს!

და საერთოდ, ყველა შემეშეით!

მე, გზაბანეულიო, ხელმოცარულიო!

ვინაა თქვენი ხელმოცარული? მარტო ყუჟუნა რომ ფიქრობდეს ასე, რა მიჭირს, ვინაა ხმის ამომღები. დავიკიდებდი. უზედურება ისაა, რომ მთელი სადარბაზო ჩემი შმოღების ჩათვლით იზიარებს ყუჟუნას სერიალუბით გამოტყნილ თავში მომზიფებულ შესედულებას.

გზა! გზა, თორემ იმდენი არჩევანი მექონდა, აღარ ვიცოდი, რომელს დავდგომოდი. ყველა რომ მოჭრილი გაქვს, ერთი გამაგებინეთ, რომელს უნდა დაადგე? რომელი კოპრფილდი და ის მე ვიყავი, რა ჰქვია, კიო! მქონდა ფოკუსების თავი? გამოდგება მამიდაჩემი ტასიკო და ჭჭუას მარიგებას.

კაი, რაა!! ესენი ისევ იქ ნანაობენ და ვერ გაიგეს, რომ ყველაფერი შეიცვალა.

ყველა-ფერი!

ყველაფერს თავი დანებე, გლობალური დათობა დაიწყო. რომ შემოუსხდებიან იმ აყროლებულ "კერასინას" გვიროლის ფურცლებივით და ინინობლიან - ეხ, რა დენი იყოო, რა ახალგაზრდები ვიყავითო, მაშინ იმხელა თოვლი მოდიოდა, და მტკვარი ცოტაც და გაიყინებოდაა... ნავიდა ის დრო.

ნა-ვი-და!

აღარ მოვა. აღარც დიდი თოვლი მოვა და აღარც მტკვარი გაიყინება. დათობა დაიწყო. თანაც გლობა-

გზა



ლური. დადნება ყინულოვანი ოკეანე და ჩაგვირობთ მაგ მზრჩოლავ "კერასინას", მეყოლეთ მერე ვარდივით და მეძახეთ გზაბანეულიო.

ვერ გავიგე, რა უნდათ. ერთი ჩვეულებრივი, პოლიტიკურ ნიადაგზე გაგულისებული, გაცეცხლებული, გაცოფებული (მოკლე, ყველაფერი, რაც გა-ზე ინყება და ი-ზე მოთავრდება) კაცი ვარ. რა თქმა უნდა იმის გარდა, რაც თქვენ იგულისხმეთ. რას იზამ, არ ყოფილა იოლი ნავება. მე კი ნავაგე. ნავაგე და კიდევ უფრო გამოიმხსენენი, ანუ გავმზარდი.

ხანდახან სიცოცხლე მეზარება, რალანაირად მეზედმეტება. აი, ფთა რომ არ გიყავს, მაგალითად, ბრინჯის, და ძალთ რომ გჩრთან პირში კოვხს. ასე ვარ ხანდახან. არ მომწონს ჩემი ცხოვრება, ისეთივე უგემურია, როგორც ის ფთა, ბავშობაში რომ გულს მირევდა, მაგრამ მაინც ყვალავ, მაინც ცვოცხლობ და ვიდრე ბედისწერის სიაში ჩემი რიგი არ დადგება, უნდა ვყლაო. კარგი დედის შვილი ხარ და ხმას გაიღებ. ვინა ხარ, ვის დაკარგვიხარო - გტყვის შენი ბედის მწერალი და თუ ბიჭი ხარ, გადაარწმუნე.

თავიდან კი... თავიდან ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი. ერთი კი არა, ათასი გზა მეძახდა. მეც ხან ერთს ამოვიღებდი მიზანში, ხან მეორეს. დედაჩემი დლით ერბოკვერცხს მინავადა, ჩაის მიდულედა და ცდლობდა არჩევანის გაკეთებაში დახმარებოდა, ანუ სწორ კალაპოტში მიემართა ჩემი არეული ახალგაზრდული ტვინი. მამაჩემიც იმავე აკეთებდა, ოღონდ ის ერბოკვეცხს არ მინავადა, უზრალოდ მმოძღვრავდა და ვინალვის სიტყვებს მიმორებდა - გახსოვენს, კარგად აღეუფლი სტარტი დიდებული ფინიშის სანინდარიო. ერთი გამაგებინა, ვინ თქვა იმ ჩემი ცოდვით სავსემ სტარტი, იცოცხლე ვიღვი, მაგრამ ფინიში? მში!

მოკლედ, ესააში მდღუარეს, ვუსმენდი ორივეს, მაგრამ გადამწყვეტილებას ერთპიროვნულად ვიღებდი. თანაც ისე, გასაჩივრებას და კასაციას რომ არ ექ-

ვემდებარებოდა. არ, ასე! გადაეწყვიტე, მშენებელი ინჟინერი გაეზმადარიყავი და დედამისის ოცნება, ექიმი გამოუსულიყავი, საბოლოოდ დავასამარე. მომწონდა აფგური აფგურ როგორ ედებოდა და ჩემს თვალწინ როგორ ჩნდებოდა კედელი. მყარია, საიმედო, მოკლედ კედელი - მისი ნაღდი ანუ კლასიკური გაგებით. გადაეწყვიტე და გაეხდი კიდევ, ხან თვითონ ვაშენებდი, ხან იმას ვაკვირდებოდი, სხვები როგორ აშენებდნენ.

ათი წელი ვუყურე შენებას, მერე ერთი ათიც - ნგრევას. ჯერ დიდი ქვეყანა დაშებნარა თავზე და ოცნება ამიხსნა. არ მეგონა შენებზე ასე შევყვარებულ კაცს ამდენი წლის ნაკონინები ქვეყნის დანგრევა ასე თუ გამახარებდა. მაგრამ გამახარა. ალტაკცივის ნეტარებიდან ჯერ კარგად არც ვიყავი გვიგარეველი, რომ ახლა საკუთარი ქვეყანა ინგრეოდა. მურტალი რამაე - უყურებ, როგორ ინგრევა და მტერის ბული ასდის შესს ნაშენს. შესს თუ არა, მამაშენის, პაპაშენის ან რა ვიცი, ვილაცის ნაოფლარს. გენანება, რაა!

\* \* \*

არ ვიცი, ვის უფრო მეტი დიდადაშული გეკონდა - მე თუ ბარკვას იქით მყოფ ჩემ ძმაკაც ვატოს. ან რა მნიშვნელობა აქვს - ფაქტია, რომ წაგაგე. წაგება ეგრ არ უნდაო და "ზვიადისტიკა" იარაღივი მომანებებ, იმ ჩემი კაბინეტიდან გამომამუშუნებლს, ხელელები კეფაზე შემომამწყობინეს და დანაშავესავით მიმაცენეს კედელთან. იმხანად პრეფექტორის, ახლა კი მერიის კედელთან. არა, ჩემს აშენებულთან არა, მაგრამ მაინც კედელთან. უბედურება ის იყო, რომ მეც (ანუ დაქვრელი) და ისინიც (ვინც დამიჭირა), ქართველად ვლაპარაკობდით და ყველანი ბედკრული საქართველოს შვილები ვიყავით.

სულ კედელთან ხომ არ ვიდგებოდი? გამოიშვეს. ქუდი კედელს და კარგად იყავი შესს იდებთან და იდეალებთან ერთადო, მიიხრქს! აი ეგრე! რა უნდა მექნა? სახლში გული აღარ მიდგებოდა. გართუ აღმავიცი მიკარგვდა. ავდექი და იქ წავედი, სადაც აქამდეც უნდა წასულიყავი. იქაც ვიოძო, ოღონდ ქართველებთან არ და იქაც დავმარცხდი. დამებუდა რაა!

იმის მერე ასე ვარ, დამარცხებული და კედელთან მიყვებოდი. არც მე მინდა სამყაროსთან ურთიერთობა და აღარც სამყარო მიღებს ერთხელ ჩაკეტილ კარს. რამდენი ხანია, ყველაფერი დასრულდა, მე კი ვერ იქნა და ვეღარ მოვერგე ქვეყანას. სხვა გზა აღარ მქონდა - ნებისით თუ უნებლოთ ჩემი რწმენის ერთგული დავგრძეო და იმ ერთადერთ გზას შევეყვინე, რომელსაც ათი წლის წინ დავადექი. ვეღარც წინ მივდიოდი და უკან დასაბრუნებელი გზაც აღარ მქონდა.

გაკვირვებით, რა უნდა მექნა? ჩავიჩინე ასე ზეაქნა-მონოლოლ ხეობაში და გახაზვულს დავუწყე ლოდინი, იქნებ ბოლოს და ბოლოს თოვლი დადნეს და ისევ გაეავტოლო დანყებოლი საქმე-მეთქი. მაგრამ ზამთარი ისე გაიწელა, ბოლო არ უჩანდა. ხელი ჩავიქნიე. დათბობა კი არა, მე მგონი გამეცინაერება დანყებოლიყო, თანაც დამქართველი ტემპია. ცოტაც და აღობა ჩემს ძელებს, კაკ მინიმუმ, მილოინი წლის შემდეგ მა-მონტის თავის ქალასთან ერთად გამოდებდნენ მუხუხის ვიტრინაში და ჩემს შვილთაშეფლს თუ კიდევ იმის შვილთაშეფლს ექსკურსიამბოლოლი მილოინი წლის წინანდელი ადამიანის ყბის ძეღის პარამეტრებზე წა-

უთისავდა ლექციას. თუმცა რა შვილი და შვილანაშვილი? მეც ვთქვი რააა შვილზე კი არა, მის პოტენციურ დედაზე საფეიქრად მეცალა? თავში მხოლოდ ჩემი პოლიტიკური ანგარიშები მიტრიალებდა, მინდოდა ახლა მე შვილი?

... არა, მთლად ასეც არ იყო საქმე. იყო ერთი.

\* \* \*

... ლამაზი იყო. ვერ ვიტყვი, ერთი ნახვით შემეყვარა-მეთქი, მაგრამ იმ სუფრასთან, სადაც ქეთათო გავიცანი, ენაგატლელი ნუგზარაც იმყოფებოდა და თავიდანვე პავტორუნე თავისი ბილნი ხუმრობა უკანვე პირში. ზამფივით იყო. გულუბრყვილო, მაგრამ მიამიტურად ეშმაკი. ნუგზარა კი არა, ქეთათო. აი, ის-ეთი, რომ მკონია - ეშმაკობას, არადა უშებზე მორბენალი სტრეკონივით გაურჩის ფოქირ.

ჩემს კლასელთან, მანჩოსთან გავიცანი. მე და მანჩო პირველი კლასიდან ერთ მერხთან ვისხედით. ის მათემპტიკას ინერდა ჩემგან, მე - ყველაფერს, მათემპტიკის გარდა. კეთილი გოგო იყო და ერთგული. რომ ნამოვიზადდეო, ანუ მე რომ ნვერ-ულვაშში ნამოვიზარდა და მანჩოვც რომ ეკვლურად დანეყო, რალაც სხვა, არამეგობრული იმპულსები ნამოვიდა მისგან და გვერდში ისეთი ჩნდებოდა ვერძენი, ცოტა არ იყოს, მეუფეოვა, არ მესიამოვნა. რაც არ უნდა იყოს, ახლენი წელი ერთად გაგატარეთ, ერთ მერხზე და დასავალი უფრო უყურებოდი, ვიდრე. მოკლედ, ერთხელ მის დაბადების დღე იყო. კახურმა თვინომ ტვინთან ერთად გრძნობებიც ამირია და თავში ისეთი ორომტრალი დაყვანა, დამიანებეს ვეღარ ვარჩევდი ერთმანეთი-საგან, სქესზე არმი აღარავინ ვთქვა. მანჩოს ვეცქვე. ისე მყავდა ჩაბლუჯული, მე მგონი ნაქცივის უფრო მეშინოდა, თორემ სხვა რამეს თუ ვგრძნობდი, არ მახსოვს. ალბათ ვგრძნობდი კიდევ. ჩვიდმეტი წლის ბიჭს, გოგოსთან ჩახუტებულს, აბა რა დამემართებოდა. ვაკოცე. გაიტრუნა. კიდევ ვაკოცე: ეგ იყო და გემას შემდეგ ოცი წელი გავიდა, ის კი ისევ მფლედება. ერთხან კონან ისე გააბრუა, ვეღარ გამოერკვა, მე კი გამოფიხნული, "პახმელიაზეც" გამოვდი, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, თითქოს არაფერი აღარ მახსოვდა და საერთოდ, მანჩოს ისევ ისე დავუწყე ყურება, როგორც დას და მორჩი.

ქეთათო მანჩოს ახალი მეგობარი იყო, თუმცა მასზე და ჩემზეც, რალა თქმა უნდა, თორმეტი წლით უმცროსი. ბევრა? ჰო, ბევრა. მაგრამ სხვაობა სულ არ იგრძნობოდა, არც მე ვიყავი დაუღვივებული, არც ის ძალზე დადინჯებული, მაგრამ მაინც გამოგვივლიდა რალაც. თავდაპირველად ძალიან მომეხიბლა. მეორედ რომ შევხვედი, პირველი შთაბეჭდილება ცოტა გამეჩარწყნდა - ქარავშუბა და თაქტირანი გოგონად მომეჩვენა. მაგრამ ესეც უხედებოდა. თვალები ჰქონდა - ჩაიძირებოდი და დაიხრქოდი.

ვერ დავიჭიმებ, რომ არ მიყვარდა. ლამაზი იყო, კეთილი. რალაც მიზიდავდა მისკენ, რალაც არ მიშვებდა. როცა ხედდა, რომ გოგოს უყვარხარ, არ არის იოლი თამაშიდან გასვლა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯიბეში გახვრეტული შაჟირანი არ გიჭყავის და ვერაფერს შესთავაზებ გულის გარდა. მაინც რა სატოვანად გამოიმივდა, პა? თანაც ვის, მე, მინაზე მყარად, არა, უყვარესად მდგომ კაცს, ოცდაცხრამეტი წლის განმავლობაში ერთი ღამეც რომ არ გან-

თენებია ქალზე ფიქრში. ქალზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მქონდა ყოველთვის და იმიტომ. მიწოდდა ახლა მე ცრემლები და სენტინენტები? მარა ქეთათო ისე შემოიპარა ჩემს ცნობიერებაში, ვერც მივხვდი. პარტიზანეთი შემოძვრა და გაიღურა. მგონი შემეყვარა - აღმოვაჩინე ერთ დღეს და ძალიან შევყვინდა. რისი? ალბათ იმისი, რომ ჩემს მთავარ სურნაზედ დამაპრობებდა, დამეპატრონებოდა და ყველაზე ძვირფასი ანუ თავისუფლების ნარმბიტებდა. პირამიდასავით იყო, აი, ზედხედში რომ წარმოვიდგინოთ. ჯერ ნერტილივით პატარა ჩანდა. რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი, ანუ უფრო ღრმად ჩავდიოდი, თანდათან ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა და მაცოცხლებდა თავისი სიდიდით. დიდი გული ჰქონდა და კიდევ უფრო დიდი - სული. იმდენი სიკეთე შეეძლო ეკეთებინა უნაგაროდ, რამდენსაც მე ასი წელიც რომ მეცოცხლა, იმის ნახევარსაც ვერ გადაკეთებდი და ცოცხად გამხელილი ვიქნებოდი, არც შეეძლოდა. ისეთი სუფთა იყო, აქამდე ჩემთვის ნაცნობი ვერცერთი ეპითეტი ვერ მივსადაგე არადა, თავი ერუდირებულ კაცად მომაქცეს და როგორც ორატორსაც არა მიშავდა. ყოველ შემთხვევაში მიტინგებზე სიტყვისათვის ჯიბეში არასდროს ჩავმეჭვარავარ.

მოკლედ, გამოიტაცა. მეც თავი მივუშვი, ცოტა მოვდუნდი და პირველად ბოლო ათი წლის მანძილზე შავ-თეთრი სამყარო შეფერადდა.

\* \* \*

სტანდარტული სამოთხიანის სტანდარტულად ციქუნა სამხარეულოში ვზივარ და უსიამოვნო მოგონებებს სივარტის ბოლს ვატან. ისეთ ნაფას ვარტყამ, ჩემს შემხედვარეს, მანწოს უტყფდება სველა. თითქმის სივარტის კოლოფს ვატრიალებ და ჯანდაცვის სამინისტროს მზრუნველობით სასვე გაფრთხილება რა თქმა უნდა ფეხებზე მკიდია. ისევე როგორც მათ, ვინც იგი კოლოფს დაანერა და ვალი მოხსნა. ერთი სიამოვნება დამრჩა და ამაზეც უარი ვთქვა, იდიოტი ვარ?

ჩემს თვალში მანწო გმირი იყო და მუდამ გმირად დარჩება. (ისე, ბავშვობიდან რაღაც ნაოხისტომისაკენ ჰქონდა მიდრეკილება). გმირის ნოდება სკოლაში სწავლისას მივანიჭე. მანწოს ამ ამბის გახსენება არ უყვარს და სიბრახისაგან ფრუტუნს იწყებს, რაღაც თავისებურად, მანწოსეულად. ეკლიანი ხდება, კვირინება, იჩხვლიტება, მაგრამ რბილად, არაკატქუსულად. ამაზეც კი აი, როგორც იყო:

მანწოს დედა, ნათელა დეიდა, (რომელიც მსოფლიოში ყველაზე გემრიელ ლობიანებს აცხობს), ხშირად ავადმყოფობდა. მათ სახლიდან დღეგამოშვებით სასწრაფო დამხარების მანქანა იდგა. მეორე დღეს ბავშვები - მანწო და მისი ძმა დათვრეულად მოდიოდნენ სკოლაში და მანსავლებლების უკვე ჩვეულებად ქვეულ შეკითხვებზე - დედაშენი როგორ არისო, მექანიკურად იძლეოდნენ პასუხს - დღეს არა უშავდაო. ერთხელაც მანწოს სკოლაში მუცელი ასტკვიდა და სახლი წაიყვანეს. მაშინ მერვე კლასში ვიყავით. სკოლაში ამაზე მოიტანეს, რომ მანწომ ნემსი გადაეყვამა და ახლა მიელი ქალაქის ექიმები თავს ასევიათო. აჭაბოტო თურმე ტონა მოხარული კარტოფილი, ასევეს ლიტერობით რძე და უშველია. რომ უკითხავთ, ეს რატომ ჩაიღინეო, - სიზმარი ვნახე, თეთრ ტანსაცმელში

ჩაცმული ქალი გამოიქვანდა და მითხრა, თუ გინდა დედაშენი გამოჯანმრთელდეს, ნემსი გადაეყვამო. იმ ჩერჩვასაც ჯემიან ბალოში კანფეტში ნემსი გაურტვია და გადაეყვამავს. კიდევ კარგი, ჭკუა ეყო და სიზმართლე არ დამალა. იმის შემდეგ დედამისი კიდევ უფრო ხშირად ხდებოდა ცუდად. მანწოს კი ნემსიყვამა შევარტეთ. სკოლის დამთავრებამდე შერა ეს სახელი, თუმცა მე ახლაც ხშირად ვახსენებ - მაშინ, როცა მისი გაბარება მინდა.

ჰოდა, ვზივარ ახლა მანწოს პირისპირ და ყავა მიცივდება.

- დალე, რაღაც ელოდები? - ფინჯანს ჩემსკენ აცურებს მანწო და ცდილობს ჩემს ტვინში ჩაძრომოს.

ყავას არავითარ ერთ ყლუბად ესამე და ფინჯანსაც ისე ვახტებუ ლამაზტუ, თითქოს მართლაც სირჩა გამოიქვალოს.

- რა გჭირს? - თავს არ მანებებს.

- მანწო...

- რა იყო?

- რატომ არ თხოვდები?

- ...

- ხო, ხო, ვითომ რითი ხარ სხვაზე ნაკლები?

- ...

- კაი, რა. გვეყო კატა-თავგობანას თამაში. გახსოვს, რამდენი წლის ხარ?

- იმდენის, რამდენისაც შენ.

- მე კაცი ვარ.

- დიდი ამაზე... დრომ ქალი და კაცი არ იცის ყველას ერთნაირად აბერებს.

- უნდა გაიხიოდე...

- იდიოტი ხარ, რა უნდა გელაპარაკო.

მანწო ფინჯანს რეცხავს და ჩემს პირისპირ ჯდება. ისე მიყურებს, ლამისა შუბლი გამიხვრისო.

- მანწო...

- რა იყო?

- რა ვქნა, მანწო?

- პირველ რიგში ეგ გაბანჯგვლული წვერი მოიპარე...

- დავუშვით, მოვიპარე. მერე რა ვქნა?

- რა და თმა შეიკრიჭე და საერთოდ, კაცს დაემსახვე.

- კი, რა. მაღელ პალსტუხის დაკეთებასაც მომხოვ.

- რატომაც არა, ვითომ რითა ხარ სხვაზე ნაკლები?

(ამჟამად პლაგიატია).

- ...

- ტვინით ხარ გატვინი.

(გადაჭარბებული წარმოადგენა აქვს ჩემზე).

- ტვინით... ვის რაში სჭირდება ჩემი ტვინი? ძროხის რომ იყოს, შენ ვაფენდე, მაიორნყალს მოასხამდნენ, ან ტყემალს (გაქანდა ვის როგორ უყვარს) და გაცხლებოდნენ. ჩემსას კი ვინ რა თავში იხლის.

- შენთან ლაპარაკი შეუძლებელია.

- შეიძლება, მაგრამ ხომ არსებობს რაღაც ამ ცისქვეშეთში, რაც შესაძლებელია?

- სასასურთი უნდა მოქებნო. აი, რა არის მთავარი...

- ახალი ანეკდოტი იცი სვანზე?

- რომელი, ნასოსი?

- არა, ეგ ძველია. ის ახა, სვანი რომ წინგების მალაზიაში შევიდა.

მანწო გულიანად კისკისებს.

- რა გაცინებს, არ დამიმთავრებია. მოკლედ, შენს და ეკითხება გამყიდველს - წიგნს ვეძებ ჭკვიან სვანებზეო. ის კი პასუხობს - ფანტასტიკის განყოფილებაში მიბრძანდითო.

მანჩო აღარ იცინის. მე მგონი არ მისმენს და რაღაცაზე ფიქრობს.

- რატომ არ გაცივინე? - სერიოზულად მეწყინა.

- რა შუაშია შენი სამსახური და სვანი წიგნის მაღაზიაში, ვერ მივხვდი...

- რა და მე მგონი შენც ფანტასტიკის სფეროში გადავარდი და ვერ მიმხვდარხარ. ყველაფერი ინგრევა და მე რა ავაშენო?

- ცოტაც მოიცადე. დანტერეულს აშენება ხომ უნდა. შენც დასჭირდები ვინმეს...

- როდის, საქონსიო ასაკს რომ მივალნენ? თუ მივალნი რასაკვირველია და იქამდე შიმშილით არ გამძვრა სული. მაგის...


მანჩო ოხრავს და ყვავს ხელახლა მიხარშავს. ჩუმად, უხმაუროდ მოძრაობს. სათვრედ ასეთია. რაღაც ჩუმში, თუშინვეელი. თავივით ფრთხილად დადის, ყველაფერს ფრთხილად აკეთებს. გვეგონება ბრლისააო. ვერანაო, რომ მეც ჩუმად ვუყვარავარ. ანერ უკვე ოცი წელია გვერდიდან არ მშორდება. ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებსაც იზიარებს, თუმცა ერთ დროს ის და პოლიტიკა ისე იყვნენ ერთმანეთთან, როგორც ვირი და კრიალიკა. მიტინგებზეც დარბობდა, რა თქმა უნდა ჩემი ხათრით. პლაკატებისა და პროკლამაციების გაერცხლებასაც მესმარებოდა. მეც მიეწვიე, რომ ერთგულ ფინასავით მუდამ ჩემს გარშემო ტრიალებდეს, ზრუნავს, მანებიერებს და ჭირვეული ბავშვის მშობელივით ყველა ახირებს მისრულებს.

ისე, მგონი მართლა დავემსახე უზენი და თავგასულ ბავშვს. ეს, მანჩო, მანჩო. ცოტაა შენთვის შხოლად მეგობრის სტატუსი, მაგრამ რა ჯანდაბა მოუხერხობს ახლ, ბოლბით რომ გამოიყოს და სხვა აღარაფრისათვის ადგილი აღარ დამიტოვა? ახლა კი გტყუო. ქეთათო?

\* \* \*

ტელევიზორში პუგაჩოვა მღერის და შიგნით შებრუნებულ ჭკინტებს მუსიკის ტაქტზე აკაკუნებს. ვა, აღარ ბერდება, ტო? მე თმა გამცვივდა, პუგაჩოვა და ფიდელ კასტრო კი მ დროიდან მახსოვს, მუცლის თმა რომ გადამპარსეს. ფიდელი ბერდება, რას ვერჩი, ეს კი - პირივით.

პუგაჩოვამ თაშუნია გამახსენა. სოსხუმში რომ ჩამოგვადგა ნაცნობ ყურნალისტთან ერთად. დაბალი იყო, მსუქანი, ამბოხილი ცხვირით და ყვითლად შეღებოლი მოკლე თმით. ალა პუგაჩოვას ღიმილით, ანუ კბილებს შორის სიცარიელით. ისედაც რუსს უფრო მკვადეა, ვიდრე ქართველს. "დედტომში" გაიზარდა, მარა მაგარი მარიფათიანი ვინმეაო? - ინფორმაცია მარიმ, ანუ ჩვენმა ნაცნობმა ყურნალისტმა მოგვანოდა, რომელსაც მიამიტობას ნამდვილად ვერ დასწამებდი, მაგრამ "დედტომოველის" ამილხვერობა მინც დაიჯერა. შეიძლება არც დაიჯერო... მე კი ვერვინ მიხვდი, ისეთივე ამილხვეარი იყო, როგორიც მე - დადეშქელიანი. მოკლედ, ეშმაკმა უწყის. მოგვადგა ერთ დღეს და ომბახილად წარმოგვიდგინა - გაიცანით, ეს თაშუნიაა, ამილხვეარიო. არც თამარი, არც თამრიკო, არც თაშუნა, იყენნა თაშუნიაა, თანაც ამილხვეარი და პრა-



შე ლუბიც ი ფალეავცო. რა უნდა გვექნა? თუ არ შევიყვარებდით და გულში არ ჩავიკრავდით, უნდა მიგველო მანქ. ქველმოქმედების ფინი ჰკლავდა, მებრძოლებს საჩუქრები ჩამოეჭრებოდა და რამე.

კიდევ კარგი, მოქსოვილი წინდები არ ჩამოგვიტანა. ხო აზრზე ხარ, სოსხუმში, განაფხულზე, შალის წინდები და დათბილული საცვლები... რაღაც პროდუქტები იყო - ჰუმანიტარული თუ ჰუმანური, მოკლედ, რაც არის. სანტა-კლასიკით ჩამოგვირგა მებრძოლებს და მარამაც მშენიერი სოფეტტი გამოაცხო ექვს-სათათიანი საინფორმაციოსათვის. რა თქმა უნდა, გავიდა. მაშინ ეთერი ყველასთვის საექტომიტრეული კარივით ღია იყო - ყველაფერი გადიოდა, რასაც გადადიდებდი. მით უმეტეს ამილხვერების სოსხუმში ჩასულ და საჩუქრებით დატვირთულ შოამომავალს.

თაშუნია მე მომეცინებოდა. ალბათ მოსწონდა ჩემი საზოგადოება. თუმცა ვერ გავიცე, რატომ. ერთ დღეში ისე დამახსოვდა, თითქოს ბავშვების მეგობარი ყოფილიყოს.

რამდენიმე საათში თავისი ავტობიოგრაფია გამაცნო და ლირიული გადახვევებიც გააკეთა. "დედა მომკვდა და უკანონოდ შობილი ბავშვთა სახლში გავიზარდე. მამაჩემს ახლახან მიოვა და გვარი მომცა, აქამდე სოფრომაძე ვიყავო. ძმა მყავს, უფრო სწორად მამაჩემს ჩემს გარდა კიდევ ერთი შვილი ჰყავს კანონიერ ცოლთანო. ახლახან მამამ ბინა მიყიდა თბილისში, მირემონტებს. თეთრი როიალიც იყიდა ჩემს სახეზე და ახალ ბინაში მაშინ გადმომიტანს, როცა გადავალო" - მიყვებოდა... უფრო კი თავის თავს უყვებოდა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ხმაამღლა ოცნებობდა.

მერე გამომიტყდა, გვარდილეზე ვარ შეყვარებულიო და მიხვდი, რომ მოთავს მიადევტით. გოგი ერქვა თუ გელა, კარგად ვერ ვისწავს. რიგითი არ გახლდათ, რაღაც ჩინი ჰქონდა. ახლაც იმის იმედით წამოგვეყდა, იქნებ სადმე გადავეყარო - მითხრა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რომელ ბატალიონში მსახურობდა. მიდი და ეძებ ამდენ ხალხში, თანაც მაშინ, როცა ტყევიტი ყურთან გინივის.

ამბობდა, სენკაში შტაბში ვმუშაობდი და იქ გაცივანი, იმასაც უყუარობდი, მაგრამ ცოლ-შვილი ჰყავდა და ხომ არ მივატყებინებდიო.

- კი მაგრამ, ისე ჩამოსულიყავი, რად გინდოდა უფრანლოსტი და ჰუმანიტარული დახმარება-მეთქი, - შევეკითხე.  
- ზღვაზე ხომ არ მოვდიოდი, ისე ვინ გამო-

მიშვებდაო - გაიკრიჭა პუგაროვას ღლიძით, - თურქეთში ვიყავი ნასული, სამუშაოდ. ცოტა ფული დავაგროვე და ეს პროდუქტები იმით ვიყიდეო, - მითხრა.

თურქეთში რისთვისაც იქნებოდა ნასული, იასნია. მაგრამ ის სიმწრით ნაშვინი დღღარებუც რომ ჩვენ დავგახარავთ თავისი უფლისწულის ძიებაში, შემიცოდა. პირი არ დამიკარებია მისი ჩამოტანილი საჭმელისათვის, ბიჭებს დავუთმე. თავად კი იმ გოგის თუ გელას ძებნას შევედგეო. ახლა არ მახსოვს, რა ერქვა, თორემ მაშინ სახელი და გვარი თამაშები ზუსტად მითხრა. მეორე დღეს მივაგენი და თავი იმ გვირად კიკრძინი, სამთავა გველვას რომ დამარცხეს და მზეთუნახავს თავის სატროფს მიბვკრის. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როცა ის გელა-გოგი თამუნისა დაწანავაზე ფურთხებითა და გინებით გამოვარდა შტაბიანდა.

- აქ რას მოეთრეოდი, მე შენი დედა. ამ კახას აქ რა უნდა, ვინ მოიყვანა?

- მე მოვიყვანე, - ვუპასუხე და სიბრაზე ყელში გამეჭირა.

- მერე ვინ თხოვდა, მოიყვანეო. შენ რომელ ბატალიონში ხარ?

მეც ვუთხარი, ვინ ვიყავი და საიდან.

- შენ მერე მოგხვდება, - მომიბრუნდა მე, - შენ კი ახლავდი აქედან დაახვიე, თორემ... - მიუტრიალდა "დეტდომოვენი" ამილახვარს და პირიდან ისეთი უწმანური სიტყვების კორიანტული ამოუშვა, გახსენებდა არ ღირს.

- როგორც ჩამოეთრიე, ისე მოუსვი აქედან. ვინ დაგაბატოვა, - ყვიროდა გელა-გოგი და ხელებს აქეთ-იქეთ იქნევდა.

მოკუნტა თამუნია ამილახვარი. თვალსა და ხელს შუა დადნა მისი თავადშვილური სიამავე. მუშტისხელა გახდა. ჩუმად, უხმაურად მობრუნდა და თაქნალუნული წავიდა. უკან გავყვიე. ჩვენს ნაწილამდე ხმა არ ამოუღია. არც საღამომდე უთქვამს რამე. მეორე დღეს, როცა თამუნია და მარი თავის ოპერატორთან ერთად ვერტმფრენთან მივაჯიკეთე, ამილახვარი არ ავიდა.

- შეიძლება აქ დავერჩეო? - მკითხა.

- არა, არ შეიძლება, წაიდი-მეთქი ვუთხარი. იმან კი - სად წავიდე, წასასვლელი არ მიქვს. ის ყველაფერი ზღაპრებია, რაც ვიამბე. არც ამილახვარი ვარ, და არც მამა მყავს. არც როიალი მქვს და არც ბნია. ჩემთვის მადლია აქ ყოფნა, უარს მე უტყვიო.

ისე მებეწებოდა, ვერაფერი ვთქვი, მარის გადავხედე და მხრები აიჩჩა, რაც იმას ნიშნავდა - სრულწლოვანი დამაინანია, თუ უნდა დარჩესო. ნაწილიმ წავეყვანე და რაღაც ქვინის თუ სანიტრის ადგილი მიუწიქინო. ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ მაინც ზრუნავდა. ერთ საღამოს გაიპარა. ქალაქში ომი იყო, ტყვიები ყურთან გვიწიოდა, ირგვლივ ყუმბარები ცვიოდა. თამუნია კი სადაღაც აორთქლდა. მიგვხედა, სადაც იქნებოდა. იმ თავის გოგისთან გაიქცა, ომის შექმნიდა და თავის შესაფარებლად გაეშურა. ღმერთმა უწავს რისთვის, მის უბეში რომ დამალვოდა კარზე მომდგარ სიკვდილს, თუ იმისათვის, რომ იმ დღევს სიკვდილიანგან. ამას ვერასდროს გავიგებ. მეორე დღეს ქუჩაში ვიპოვე მისი გვაში. ყუმბარის ნაშთურებს გამოვყავტარა. სახეზე ისეთი ზედწინერი ღლიძი დასათამაშებდა, დარწმუნებული ვარ, უკანასკნელ წუთს ის გოგი თუ გელა ელანდებოდა.

\* \* \*

მანჩოს სახლი ქალაქის განაპირას დგას. მისაღები ოთახი პირდაპირ აივანზე გადაის, აივანი კი უზარმაზარ ხეებს გადასჭყვრის. ისეთი შობაგვეძლიება, თითქოს სახლი შუა ტყეში დგას. მისაღები დიდი და ნათელია. ავეჯი სადა, მაგრამ მოხერხებული. კუთხეში მანჩოს სიამავე, უზარმაზარი, ბუნებრივი გვირაბი დგას. ბუნებრივი იმიტომ, რომ არსებობს ხელოვნურიც. მანჩო ვერ იტანს ხელოვნურ ყვევილებს, ისევე როგორც ყველაფერს ხელოვნურს. ითახში ოთხნი ვართ - მე, მანჩო, ქეთათო და მაიკო. მაიკოც ჩვენი კლასელია. ისიც გაუთხოვარი. მანჩო და მაიკო დაქალაქი არიან და ერთმანეთის გარეშე თითქმის არასად დადიან. ერთმანეთს არ გვანან, თორემ იფიქრებ, ტყულები არიანო.

ქეთათო, როგორც ყოველთვის, ვერ არწნებს როგორ იძაბება მანჩო, როცა ჩვენ სამნი აწინადა ვართ. საინტერესოა რას იზამს, როცა გაიგებს? დავიჯერო, მიმატოვებს? დამომოს? მანჩო ყველაფერს ხედავს, მაგრამ როგორც ყოველთვის, ვერ არ იღებს. ჩემი იმედი აქვს ალბათ. იმის იმედი, რომ ერთგულება დაუფასდება.

რადღაც ვცვები, თან ისეთი გატაცებით, ამ საკითხში ჩემი განწავლულობით აღფრთოვანებული გოგონები პირდაბლებული მისმენენ. ქეთათო სტუდენტია და მთავი აპირებს წასვლას. კარავი და საძილე ტომარა მოვუტანე.

- ა, ბატონო. უშფოთველ ძილს გისურვებ, - ვუღიმი.

- ისე, თუ ვინმეს შენი მოტაცება უნდა, ამაზე უკეთეს მოხეტის ვერ ჩაიგებს ხელში... - იღვარძლება მანჩო. არადა, ვიცი მისი კეთილი გულის ამბავი, უყვარს ქეთათო. უყვარს, მაგრამ ბრაზებს მისი მიუხედველდროების გამო. ქეთათო იცინის და ჩემსკენ აპირებს მზერას.

"რად მინდა მოტაცება... განა უარზე ვარ" - მეუბნება თვალმობი, მაგრამ დღეს. თავისებურად, მეტყველად დღეს.

ამ ტომარაში მეც მეძინა, როცა იქ ვიყავი. ასე რომ ახლა მშვიდად შემიძლია ვთქვა, მე და ქეთათოს საერეცილი გაგვიყვია-მეთქი. ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ მანჩო? ღმერთო, როგორ დავიბენე. გავეჭირე მოვალეობასა და გრძნობას შორის და აღარ ვიცი, როგორ გამოვქვირე.

- კარგია ახლა მთაში... - ხმამაღლა ოცენებობს მანჩო.

- კი, შენ რომ გზის გაკვლევა გესურება... - მაინც რა ცინიკოსი ვარ. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა მანჩოსთვის იმის არშესენება, რა მწირი იყო მისი ცოდნა გეოგრაფიისა - ღრუბლიან ამინდში ვერაფერი გეტყვოდა, სადა აღმოსავლეთი იყო, სად დასავლეთი. ამიტომაც იყო ერთხელ ლაშქრობაზე მზის ამოსვლას უნდა ვუყურებო - დაიჩემა და ვიდრე მზემ ზურგი არ გაუთბო, ვერ მიხვდა, რომ დასავლეთს გასცქეროდა მზის მოლოდინში.

- მაინც რა გესლანია ენა გაქვს! - ბრაზობს მანჩო.

- არა, თუ გინდა, გიშოვი ტომარას? - არ ვცხრებო მე და კიდევ უფრო მეტინება.

- მოტაცება რად გინდა, ისევე გამოვცვები, - ახლა მანჩო იცინის. ხმამაღლა აშობს ამას, რასაც ქეთათო ფიქრობს. ელანაკარავით გაიბრბის თვლი ქეთათო-

საკენ. გულიანად კისკისებს, მაგნი მართლა ვერაფერს ხვდება, ღმერთო, რა ჩერჩეტი. ვერ წარმოუდგენია, რომ მანრო შეიძლება რაიმეში შეეცვალოს. ასეთია რა, გულუბრყვილოდ კეთილი. არადა ქალია, წესით ეჭვიანი უნდა იყოს, ასეა დანესებული, ბუნებაში არ უნდა არსებობდეს გამარჯვლისი, ის კი არ ეჭვიანობს. იქნებ სწორედ ეს სიალალე მიზიდავს ყველაზე მეტად.

- გაიგე, ნანას რა დაემართა? - საუბრის თემას ცვლის მაიკო.

- აბა ნანა?
- ჩვენი მეზობელი, სოსუმელი ლტოლვილი...
- რა დაემართა?
- გიტს პგავს, ზის და ტირის...
- რა ატირებს? არა, სატირალი კი ბევრი აქვს, მაგრამ... მაინც რა ატირებს? - საუბარში ერთეუბა ქეთათო.

- რა და... გუშინ პანაშვიდზე იყო. შორეულ ნათესავს შელი დაეღუპა. აფხაზეთში იბრძოდა ის ბიჭი და... ორი დღის წინ მოკლეს ნანასპირი.

- ვაჟ! რას ერჩოდნენ!
- რა ვიცი, ცოტას ნაიშავებდა. მაგრამ მთავარი არ მოთქვამს.

- მეურ თქვი, რას დაგეტანე?
